პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 100 (13494) | ოთხშაბათი, 4 მაისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

## საქდესის ცნობა

## მთვარის ხელოვნური თანამგზავრის მთვარისახლო ორბიტაზე ერთი თვის ფრენის შედეგი

1966 წლის 3 მაისს, ერთი თვე შესრულდა იმ მომენტიდან, რაც ხელოვნური სადგური „ლუნა-10" გავიდა მთვარისახლო ორბიტაზე და გახდა მსოფლიოში პირველი მთვარის ხელოვნური თანამგზავრი.

ამ პერიოდში სადგურმა მთვარეს 244-ჯერ შემოუარა, გაიფრინა 3,5 მილიონ კილომეტრზე მეტი. სადგურთან განხორციელდა რადიოკავშირის 139 სეანსი, რომელთა დროს მოეწყო მრავალი ტრაექტორიული გაზომვა და მიღებულია დიდმნიშვნელოვანი ტელემეტრიული ინფორმაცია სადგურის სისტემების მუშაობის შესახებ. თანამგზავრიდან მიღებულია დიდძალი სამეცნიერო ინფორმაცია.

3 მაისისათვის მთვარის თანამგზავრის ორბიტის პარამეტრები ასეთია:

მთვარის ზედაპირიდან მინიმალური დაშორება (პერისელენი) 350,7 კილომეტრი,

მთვარის ზედაპირიდან მაქსიმალური დაშორება (აპოსელენი) 1.007,5 კილომეტრი,

მთვარის გარშემო თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდი 2 საათი, 58 წუთი და 10 წამი,

მთვარის ეკვატორის სიბრტყესთან თანამგზავრის ორბიტის დახრილობის კუთხე 72 გრადუსი, 00 მინუტი და 38 სეკუნდია.

მთვარის თანამგზავრის აპარატურა და სისტემები ნორმალურად მუშაობენ, არა ყოფილა გადახრა გათვალისწინებული რეჟიმებიდან.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო ხელსაწყოების საშუალებით მიღებული ინფორმაციის ანალიზმა მეცნიერებს საშუალება მისცა გამოეტანათ პირველი წინასწარი დასკვნები მთვარის ზედაპირის ქანების შემადგენლობის, მთვარისახლო სივრცეში რადიაციული ვითარებისა და მაგნიტური მოვლენების, აგრეთვე მთვარის მახლობლად მეტეორული ნივთიერებებისა და პლაზმის სიმკვრივის შესახებ.

მთვარის ხელოვნური თანამგზავრის საშუალებით შემდგომი მეცნიერული კვლევა განხორციელდება პროგრამის შესაბამისად.

# ხუთწლედის პირველი მაისი

## პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

სკპ XXIII ყრილობამ, რომლის შთაგონებით ცხოვრობს და შრომობს ახლა მთელი ჩვენი ხალხი, საბჭოთა ქვეყანას ახალი ჰორიზონტები გადაუშალა. ადამიანისათვის ზრუნვით გამსჭვალულია მისი გადაწყვეტილებანი. „XXIII ყრილობა", „ხუთწლედი" — ეს სიტყვები წარწერილია დროშებზე, პლაკატებსა და ტრანსპარანტებზე, რომლებიც ამშვენებენ დედაქალაქის შენობებს. წითელ მოედანს. „ყრილობის გადაწყვეტილებებს შევასრულებთ" — ამბობენ ფერად ტრიპტიქზე გამოსახული მუშები — ვაჟი და ქალი, რომელიც ამშვენებს ისტორიული მუზეუმის ფრონტონს. ამ სიტყვებს ეხმიანება სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის შენობის ფასადზე გაკრული მოწოდება — „წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!"

კრემლის კედელზე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების გერბებია, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ საბჭოთა ხალხების მეგობრობას.

წითელი მოედანი ზეიმობს. მაცხოვრის კოშკის კურანტების, როგორც მათ ვ. ი. ლენინმა უწოდა, — საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი საათის — ისრები 10-ს უახლოვდება. ტრიბუნებზე ადიან სტუმრები. აქ არიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, თვალსაჩინო მხედართმთავრები. აქვე არიან საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნიდან მოწვეული სტუმრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე დგანან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი.

ათჯერ დაჰკრა კრემლის კურანტებმა მაცხოვრის კოშკზე. იწყება სამხედრო პარადი.

კრემლიდან ღია ავტომანქანით გამოდის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, მას ხვდება პარადის სარდალი არმიის გენერალი ა. პ. ბელობოროდოვი და პატაკს აძლევს. მარშალმა ჩამოუარა პარადზე გამოსულ ჯარის ნაწილებს. მიესალმა მეომრებს, მიულოცა დღესასწაული. შემდეგ მინისტრი ადის მავზოლეუმის ტრიბუნაზე და სიტყვას ამბობს.

## ამხ. რ. ი. მალინოვსკის სიტყვა

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

ჩვენო პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით და დავალებით მოგესალმებით და მოგილოცავთ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს!

წელს პირველი მაისის დღესასწაულს ჩვენი ქვეყანა ეგებება ისეთ ვითარებაში, როცა გაშლილია საყოველთაო-სახალხო ბრძოლა სკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის დირექტივების განხორციელებისათვის.

ლენინური პარტიის ყრილობამ შეაჯამა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგები, მთლიანად და სავსებით მოიწონა სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობა. პარტიის XXIII ყრილობამ დასახა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების დიდებული პერსპექტივები, განსაზღვრა პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი, დასახა ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემდგომი ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ადამიანები კანონიერად ამაყობენ კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში მოპოვებული წარმატებებით. შვიდწლიანი გეგმის დამთავრების, ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელების შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერება, გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა. კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, მშრომელთა შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო.

ყრილობის გადაწყვეტილებანი და მის მიერ დასახული გეგმები კომუნისტური მშენებლობისა მახლობელი და ძვირფასია საბჭოთა ხალხისათვის. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ყველა საბჭოთა ადამიანი მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ მათ, ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს აღიქვამენ როგორც თავიანთ ღვიძლ საქმეს და დიდი ენთუზიაზმით შრომობენ მათი განხორციელებისათვის. თავისი პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი მტკიცედ მიდის ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ.

სწრაფი ტემპებით ავითარებენ ეკონომიკასა და კულტურას მოძმე სოციალისტური ქვეყნები. მსოფლიო სოციალისტური სისტემა წლითიწლობით მტკიცდება, ახალ ძალებს იკრებს და მზარდ გავლენას ახდენს კაცობრიობის ბედზე. საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებს მოძმე ხალხთა წარმატებანი, ახალ დიდ მიღწევებს უსურვებენ მათ სოციალიზმის მშენებლობაში.

ახლანდელ პირველ მაისს აღვნიშნავთ საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების ვითარებაში, რაც გამოწვეულია იმპერიალისტური სახელმწიფოებისა და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებით. ამერიკელი იმპერიალისტები და სამხედრო ბლოკებში მათი მოკავშირენი იარაღის ძალით ცდილობენ შეაფერხონ კლასობრივი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, მსოფლიოს რევოლუციური განახლების პროცესი. შეინარჩუნონ კაპიტალიზმის პოზიციები, რომელსაც გადაუვრელი წინააღმდეგობანი ღრღნიან.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ფეხქვეშ თელავენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანის მოთხოვნებს და განაგრძობენ საზიზღარ ავაზაკურ ომს გმირი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. აფართოებენ აგრესიას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, იყენებენ ადამიანთა გაჟლეტის ყველაზე სასტიკ და ბარბაროსულ საშუალებებს.

საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ჩაფუშოს აგრესორთა დანაშაულებრივი გეგმები. სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ჩვენ მხარს ვუჭერთ ვიეტნამელ ძმებს, ყოველი ღონისძიებით ვუწევთ და კვლავაც გავუწევთ დახმარებას მათ სამართლიან ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მშვიდობის საქმისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს აგბედითი ზრახვები დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტებისა. თავიანთ ოკეანესგაღმელ — ამერიკელ მფარველთა დახმარებით ისინი ცდილობენ ხელთ იგდონ ატომური იარაღი. აპირებენ გადასინჯონ მეორე მსოფლიო ომის შედეგები და კვლავ გადააკეთონ ევროპის რუკა.

ჩვენი ხალხი, წყვეტს რა კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანებს, დაინტერესებულია მშვიდობის შენარჩუნებით და განმტკიცებით. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რათა კიდევ უფრო განვამტკიცოთ სოციალისტური სისტემის ძლიერება და ყოველი ღონისძიებით დავეხმაროთ ხალხთა ბრძოლას ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, განვამტკიცოთ მშვიდობა და თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომი.

პარტია და მთავრობა ითვალისწინებენ, რომ ძლიერდება იმპერიალისტური აგრესია, რომ ამასთან დაკავშირებით იზრდება ომის საფრთხე და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გაადიდონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, განამტკიცონ არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერება.

ლენინის უკვდავ იდეებზე აღზრდილი, მტრის წინააღმდეგ მრავალ ბრძოლაში გამოწრთობილი შეიარაღებული ძალები ფხიზლად დგანან მშვიდობიანი შრომისა და საყვარელი სამშობლოს უშიშროების სადარაჯოზე. მშობლიური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა მეომრები წმიდად იცავენ და ამრავლებენ უფროს თაობათა სახელოვან რევოლუციურ და საბრძოლო ტრადიციებს. ისინი თავდადებით შრომობენ თავიანთი მხედრული ოსტატობის სრულყოფისათვის, ჯარების საბრძოლო მზადყოფნის განმტკიცებისათვის. საბჭოთა შეიარაღებული ძალები მოძმე სოციალისტური არმიების მეომრებთან თანამეგობრობით მუდამ მზად არიან გაანადგურონ ყოველი აგრესორი, ღირსეულად დაიცვან ჩვენი ხალხების მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარნი.

გაუმარჯოს პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

გაუმარჯოს დიად საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ვაშა!

* * *

...როგორც ყოველთვის, მავზოლეუმს პირველმა ჩაუარეს სამხედრო აკადემიათა და სასწავლებელთა მსმენელებმა.

მათ შემდეგ მოედანზე გამოჩნდნენ მოტოქვეითი ჯარის კოლონები. ჩვენი სახმელეთო ჯარი ახლა მთლიანად მოტორიზებულია, აღჭურვილია ყველაზე თანამედროვე იარაღით და კარგად მომზადებულია იმისათვის, რომ აწარმოოს აქტიური საბრძოლო მოქმედება ატომური იარაღის გამოყენებით თუ გამოუყენებლად.

მ. ი. კალინინის სახელობის ტამანის გვარდიული მოტომსროლელი დივიზიის შემდეგ წითელ მოედანზე შემოვიდნენ სადესანტო ჯარები.

...მოდიან კანტემიროვსკის გვარდიული სატანკო დივიზიის მანქანები და მსუბუქ ქვამლს ტოვებენ. დიდი სამამულო ომის წლებში მათ განვლეს საბრძოლო გზა სტალინგრადიდან პრაღამდე. ახლა კანტემიროვსკელები იბრძვიან იმისათვის, რომ გახდნენ ჩვენი ჯავშანსატანკო ჯარების მეწინავე შენაერთი. ეს ჯარები შეიარაღებული არიან ჩინებული ტექნიკით. ჩვენი ტანკები ბევრი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლით სჯობიან საუკეთესო საზღვარგარეთულ ტანკებს.

წითელ მოედანზე ყველა დამსწრის ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებული სიმძლავრის შორსმსროლელი არტილერიის კოლონა. ერთი-ორი წუთის შემდეგ ტრიბუნას ჩაუარეს კიდევ უფრო დიდი კალიბრის ქვემეხებმა.

მოედანზე ჩაიარა საბჭოთა კავშირის საჰაერო დაცვის ჯარების სარაკეტო ტექნიკამ. მისი მაღალი საბრძოლო თვისებები უზრუნველყოფს ჩვენი სამშობლოს საიმედო დაცვას საჰაერო-კოსმოსური თავდასხმისაგან.

აი სხვადასხვა ტიპის საზენიტო რაკეტები, ასეთ რაკეტებს შეუძლიათ დიდი სიზუსტით მოსპონ ყველა სახეობის თანამედროვე საფრენი აპარატი. რა სიმაღლეზეც უნდა იყონ და რა სიჩქარითაც უნდა მიჰქროდნენ.

მოდიან შორი ტყვიოტყო ლამპერები, რომლებსაც ძალუძთ როგორც თვითმფრინავების, ისე რაკეტების განადგურება.

მოედანზე შემოდიან მძლავრი რაკეტწინაღები სპეციალური კონტეინერებით. შორი აღმოჩენის რადიოლოკაციური სადგურების სიგნალისთანავე ამ რაკეტწინაღებს შეუძლიათ გაანადგურონ აგრესორის ბალისტიკური რაკეტების ატომური მუხტები დასაცავი ობიექტებიდან ძალიან შორს.

ამ ბოლო დროს განხორციელდა შემდგომი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებმაც მკვეთრად გაადიდეს რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის ეფექტიანობა.

მავზოლეუმს ჩაუარეს ოპერატიულ-ტაქტიკურმა რაკეტებმა. ეს რაკეტები განუწყვეტლივ ვითარდება და საბჭოთა სახმელეთო ჯარების საცეცხლე ძალის საფუძველია.

მოედანზე ჩაიარეს ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის საოკეანო წყალქვეშა ნავების ბალისტიკურმა რაკეტებმა. წყალქვეშ რაკეტამზიდიდან გაშვებულ ასეთ რაკეტებს შეუძლიათ გაანადგურონ სტარტის ადგილიდან რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებული მოწინააღმდეგის მიზნები. საბჭოთა წყალქვეშა რაკეტამზიდ ფლოტს შეუძლია წარმატებით შეასრულოს ზღვაში და ხმელეთზე მოწინააღმდეგის ობიექტების განადგურების სტრატეგიული ამოცანები, იმოქმედოს ოკეანის სივრცეებში არქტიკიდან ანტარქტიკამდე.

სამხედრო პარადს ამთავრებს სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების კოლონა.

სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები ატომურ რაკეტულ წყალქვეშა ნავებთან ერთად აგრესორის შეკავებისა და ომში მისი გადამწყვეტი განადგურების მთავარი საშუალებაა. ჩვენს მრისხანე სტრატეგიულ რაკეტებს ახასიათებთ მაღალი მზადყოფნა და უნარი ზუსტი და აუცილებელი მასირებული დარტყმა მიაყენონ მტერს, სადაც უნდა იყოს იგი.

საბჭოთა ხალხმა სარაკეტო ჯარები შეაიარაღა პრინციპულად ახალ სახეობათა მძლავრი რაკეტული იარაღით. მოედანზე, სხვა რაკეტებს შორის, ჩვენ ვხედავთ ზოგიერთი ტიპის ასეთ ახალ იარაღს — საკონტინენტთაშორისო და საშუალო სიშორის მყარსათბობიან რაკეტებს თვითმავალ გასაშვებ დანადგარებზე.

ასეთი მოძრავი სტარტები არა აქვს არც ერთ არმიას მსოფლიოში. ფალრესად მანევრული ეს სტარტები განუწყვეტლივ იცვლიან პოზიციებს და მათი პოვნა

(დასასრული მე-2 გვერდზე)



მოსკოვის მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე 1966 წლის 1 მაისს. („პრავდა").

## სადილი კრემლის ყრილობათა სასახლეში

მოსკოვი, 1 მაისი. (საქდესი). სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დღეს კრემლის ყრილობათა სასახლეში სადილი გაუმართეს წითელ მოედანზე საპირველმაისო პარადის მონაწილეებსა და საზღვარგარეთელ სტუმრებს, რომლებიც დაესწრნენ საპირველმაისო დღესასწაულს მოსკოვში.

## საზღვარგარეთელი სტუმრების პატივსაცემად

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ 2 მაისს დარბაზობა გაუმართა საზღვარგარეთის პროფკავშირულ და მუშათა დელეგაციებს, რომლებიც 1 მაისის დღესასწაულზე ჩამოვიდნენ. დარბაზობას დაესწრნენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დელეგაცია გენერალური მდივნის ლუი საიანის მეთაურობით, მოძმე სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირთა დელეგაციები, ევროპის, აზიის, აფრიკის, არაბული აღმოსავლეთის, ლათინური ამერიკის, ავსტრალიის პროფკავშირთა და მშრომელთა წარმოგზავნილნი, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრები, პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების თავმჯდომარეები, ქალაქ მოსკოვის პროფკავშირული აქტივი, დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა წარმოების მოწინავენი, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

სტუმრებს გულითადად მიულოცა 1 მაისის დღესასწაული საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

დღეს, დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, თქვა მან, ჩვენ 1 მაისის დღესასწაულს აღვნიშნავთ ჩვენს საზღვარგარეთელ სტუმრებთან ერთად, რომლებიც საბჭოთა პროფკავშირების მოწვევით ჩამოვიდნენ მსოფლიოს 70-ზე მეტი ქვეყნიდან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მკაფიოდ გამოხატავს ურღვევ მეგობრობასა და ინტერნაციონალურ სოლიდარობას, რაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებს აკავშირებს კლასობრივ ძმებთან მთელ მსოფლიოში, საერთაშორისო მუშათა კლასის პატივისცემასა და ნდობას ისტორიაში პირველი მშრომელთა სოციალისტური სახელმწიფოსადმი.

მიესალმა რა ყველა კონტინენტის პროფკავშირთა და მშრომელთა წარმომადგენლებს, ვ. ვ. გრიშინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხი ერთგული და საიმედო მეგობარია ყველა ხალხისა, რომლებიც თავისუფლებისათვის იბრძ-

საბჭოთა ხალხი ვიეტნამის გმირი ხალხის მხარეზეა, რომელიც მამაცურ ბრძოლას ეწევა ყველა ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების მთავარი მტრის — ამერიკის ავაზაკური იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანები უწევდნენ და კვლავაც გაუწევენ ვიეტნამელ მეგობრებს მთელ საჭირო დახმარებას და დარწმუნებული არიან, რომ ამერიკული იმპერიალიზმის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში ვიეტნამელი ხალხი სრულ გამარჯვებას მიიღწევს.

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ რწმენა გამოთქვა, რომ სოციალიზმის ქვეყნების მშრომელთა, საერთაშორისო მუშათა კლასის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების გაერთიანებული მოქმედებით შეიძლება ჩავფუშოთ იმპერიალიზმისა და საერთაშორისო რეაქციის აგრესიული ხრიკები, ახალი მსოფლიო ომის საფრთხისაგან ვიხსნათ კაცობრიობა.

ვ. ვ. გრიშინმა წარმოთქვა სადღეგრძელო. მან გამარჯვება უსურვა მთელი მსოფლიოს მშრომელებს, მშვიდობასა და ხალხთა მეგობრობას, ადღეგრძელა საზღვარგარეთის პროფკავშირთა დელეგაციების წევრები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდნენ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისის დღესასწაულზე. (საქდესი).

## ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საქართველოს სსრ პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების იმ თანამშრომელთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი**

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში დამსახურებისათვის დაჯილდოვდნენ:

**შრომის წითელი დროშის ორდენით**

ტყალდიანი სპირიდონ ბაგრატის-ძე.

**„საპატიო ნიშნის" ორდენით**

1. ბელიაევა ლარისა ალექსანდრეს ასული.
2. ჯავაშვილი ილია იოსების-ძე.
3. შენგელია შალვა ვასოს-ძე.

**მედლით „შრომითი მამაცობისათვის"**

მატკავა დავით ვლადიმერის-ძე.

**მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"**

1. ლომთათიძე ირაკლი ნიკიფორეს-ძე.
2. მებონია ალექსი აკაკის-ძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1966 წლის 3 მაისი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 3 მაისის ბრძანებულებებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოთა 300 გამომძიებელი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 60 კაცი, „საპატიო ნიშნის" ორდენით — 95, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 73 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 72 კაცი.

ბრძანებულებანი ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებსა" და ადგილობრივ პრესაში.

## საკავშირო დროშა — გამარჯვებულთ

სკპ XXIII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა და ახალი სამეურნეო წლის პირველი კვარტალის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და ამავე დარგის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიეკუთვნა კომუნისტური შრომის საწარმოს — თბილისის კერამიკულ კომბინატს.

ჭიათურა. (საქ. კორ.). ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივს პირველი კვარტალის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მიეკუთვნა სსრ კავშირში პირველი ადგილი და მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

ქუთაისი. (საქ. კორ.). კიროვის სახელობის მე-4 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივს ჩვენი ქვეყნის სამკერვალო საწარმოთა შორის სკპ XXIII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა და პირველი კვარტალის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის კვლავ მიეკუთვნა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია, რაც შარშან მე-4 კვარტალში ჰქონდა მოპოვებული.

# ხუთწლედის პირველი მაისი

(დასასრული)

და განადგურება მოწინააღმდეგეს არ ძალუძს. ასეთი რაკეტები აგრესორისათვის გამანადგურებელი საპასუხო დარტყმის მიყენების განსაკუთრებით საიმედო საშუალებაა.

ბოლოს მოედანზე მოდიან ორბიტული რაკეტები.

ასეთ რაკეტებს შეუძლიათ ყოველი მიმართულებით ძლიერი ატომური დარტყმები მიაყენონ მოწინააღმდეგის ობიექტებს.

საბჭოთა ჯარების შეიარაღება თანამედროვე მოთხოვნათა დონეზეა, მათი გაზრდილი ძლიერება კი სავსებით საკმარისია, რომ შემუსროს ყოველი აგრესორი.

საბჭოთა ხალხისა და სხვა ხალხების რევოლუციურ მონაპოვრებს, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს საიმედოდ იცავს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის უდიდესი ძლიერება.

სამხედრო პარადი დამთავრდა.

ფანფართა ხმებში მოედანზე შემოდიან მოსკოველთა მეწინავე კოლონები. მათ მოაქვთ ლოზუნგები:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

„ერთობისა და შეკავშირებისათვის!“

„ძირს ვიეტნამის ომი!“ — მოითხოვს საბჭოთა ხალხი და ფიცივით გაისმის სიტყვები: „მშვიდობას დავიცავთ!“

მოედანზე სპორტსმენთა მწკრივები გარინდებულან. ცენტრში მიდიან ჩაჩქანიანი და ლაბადა-კარვებიანი ჯარისკაცები. ჩვენი ქვეყნის მშვიდობის დამცველებმა ფრთხილად ჩამოსვეს თავიანთი მხრებიდან გაზაფხულის თაიგულიანი ბავშვები. გრიალებს შეძახილები ლენინური პარტიის, საბჭოთა ხალხის პატივსაცემად. ბავშვები გარბიან მავზოლეუმისაკენ და ყვავილებს უძღვნიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

საზეიმოდ ჟღერს პროლეტარული ჰიმნი „ინტერნაციონალი“. მოედანზე შემოდიან დემონსტრანტთა კოლონები — მშრომელი მოსკოვის წარმომადგენლები.

ენერგიული სტარტი აიღო მუშათა დედაქალაქმა ახალი ხუთწლედის პირველ წელს. ვადამდე შესრულდა ოთხი თვის დავალებანი. ზეგეგმითი ჩარხები, ავტომობილები, მანქანები, ქსოვილები — ასეთია მოსკოველთა პირველი წვლილი პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

„ხუთწლედს შევასრულებთ!“ ეს სიტყვები, რომლებიც წარწერილია პანოებზე, ალმებზე, პლაკატებზე, მოსკოველთა საზეიმო დაპირებაა. აქ, წითელ მოედანზე, სადაც საბჭოთა ადამიანები მოდიან ხოლმე ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველაზე პასუხსაგებ მომენტებში, მოგიზგიზე მარტენებიდან და საგლინავი დგანებიდან, კონვეიერებიდან და ავტომატური ხაზებიდან, ელმავლებიდან და საქსოვი მანქანებიდან მოიტანეს ეს შრომითი ფიცი. ქარხნების „სერპ ი მოლოტის“, „კრასნი ბოგატირის“, „დინამოს“, ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის, „კაუჩუკის“, შჩერბაკოვის სახელობის კომბინატისა და დედაქალაქის სხვა საწარმოთა მუშებმა.

ადამიანთა ნაკადის ზემოთ ოცდაათ მეტრ სიმაღლეზე მოჩანს უზარმაზარი ბურთები. ადვილი გამოსაცნობია მთვარე, რომლისკენაც მიჰქრის რაკეტა და მის ზედაპირზე მიაქვს საბჭოთა ქვეყნის ალამი. ამ მაკეტის შექმნაში მონაწილეობდნენ ნამდვილი საპლანეტათშორისო ავტომატური სადგურების შემქმნელნი.

დღეს დემონსტრანტთა უკლებლივ ყველა კოლონას მოაქვს პლაკატები და ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილია გულისწყრომით აღსავსე სიტყვები: „ხელები შორს ვიეტნამისაგან!“ მოსკოველები გულთბილად მიესალმებიან გმირი ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენლებს. იმათაც, ვინც მათთან ერთად მონაწილეობს სადღესასწაულო დემონსტრაციაში, — მოსკოვის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტებს ლე დიკ ჩიეუს, ხო კუონ ვის, ჩან მიოის, და იმათაც, ვინც ტრიბუნებზეა.

ვესაუბრებით ვიეტნამის პროფკავშირთა ფედერაციის დელეგაციის მეთაურს, ქალაქ ჰანოის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარეს ვუ დინს.

— ჩვენ მეტად მოხარული ვართ, — ამბობს იგი, — რომ ვმონაწილეობთ საბჭოთა კავშირის საპირველმაისო დღესასწაულში... დიდად აგვაღელვა, რომ სკკპ XXIII ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო განცხადება, რომელიც სასტიკად გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ჩვენი ქვეყნის ხალხის წინააღმდეგ და სოლიდარობას უცხადებს ჩვენს ბრძოლას აგრესორის წინააღმდეგ.

ვუ დინმა რწმენა გამოთქვა, რომ საკუთარ ძალებზე, საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების დახმარებაზე დაყრდნობით, ვიეტნამელი ხალხი კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლებს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ და სრული გამარჯვებით დააგვირგვინებს ამ ბრძოლას. ვუ დინმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ადამიანებს ვიეტნამელი ხალხისადმი დიდი დახმარებისათვის.

* * *

ამ პირველმა მაისმა, რომელიც სკკპ XXIII ყრილობის ნიშნით მიმდინარეობდა, ახალი ძალით ცხადყო პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, საბჭოთა ადამიანების გადაწყვეტილება განახორციელონ პარტიის ყრილობის წინასწარდასახულობანი, შეასრულონ ხუთწლედი, რომელიც დამკვრელური შრომით დაიწყეს ჩარხებთან და საგაზაფხულო მინდვრებში.

გ. დავიდოვი, ლ. ერმაკოვა, ვ. კალისტრატოვი, ა. მედვედევი, ს. ფროლკინი,
საქდესის კორესპონდენტები.
მოსკოვი, 1 მაისი.





* * *

1966 წლის 1 მაისის დღესასწაული მოსკოვში. სურათებზე: ზემოთ — მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია; ქვემოთ — მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადი წითელ მოედანზე. სპეციალურ კონტეინერებში მოთავსებული მძლავრი რაკეტწინალები. შორი აღმოჩენის რადიოლოკაციური სადგურების სიგნალით ამ რაკეტწინალებს შეუძლიათ თავიანთი დასაცავი ობიექტებიდან შორ მანძილზე მოსპონ აგრესორის ბალისტიკური რაკეტების ატომური მუხტები.

ფოტო ო. კუზმინისა და ნ. გრანოვსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# დიდი ზეიმი

## პირველი მაისის დღესასწაული

ყოველ მაისს თავისი დამახასიათებელი ნიშანი აქვს. დღეს ეს ნიშანია პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი ხალხის შემდგომ გზას კომუნიზმისაკენ. ამიტომ დღეს მუშები და კოლმეურნეები უპატაკებენ სამშობლოს იმას, რაც უკვე განახორციელეს. და ახლა ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის არ არის უფრო მნიშვნელოვანი და ახლობელი საქმე, ვიდრე შეასრულოს ის, რაც ჩაფიქრებული და დასახული აქვს პარტიას.

...კიევის ცენტრალური მაგისტრალი — კრეშჩატიკი მორთულია ტრანსპარანტებით, მცენარეებით, მრავალფეროვანი პანოებით. ტრიბუნაზე არიან რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. კიევის გარნიზონის ჯარების პარადის შემდეგ დაიწყო ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების სვლა. მოდიან ხელოვნური ალმასებისა და სრულყოფილი ხელსაწყოების, დიდი სიზუსტის ჩარხების, ელექტრონულ-საანგარიშო მანქანებისა და რთული ქიმიური მოწყობილობის სახელოვანი შემქმნელები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, სცენის ოსტატები — ყველა ისინი აცხადებენ, რომ ისწრაფვიან ემსახურონ მშობლიურ ხალხს.

მინსკელები დღესასწაულს შეხვდნენ პირველი წარმატებებით სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. ქალაქის მრეწველობამ შეასრულა საპირველმაისო სოციალისტური ვალდებულებანი. აქ აგრეთვე გაიმართა პარადი და სადღესასწაულო დემონსტრაცია.

უზბეკეთის დედაქალაქს რამდენიმე დღის წინათ სტიქიური უბედურება დაატყდა თავს. უჩვეულოდაა გაფორმებული ქუჩები — წითელი ალმები აღმართულია დროებით საცხოვრებელ კარვებზე. პირველ მაისს დილიდან ათასობით მშრომელი ტრადიციისამებრ გაემართა ლენინის სახელობის მოედნისაკენ, ელჩის მონუმენტის წინ ჩაიარა მძლავრმა საბრძოლო ტექნიკამ, შემდეგ კი დემონსტრანტებმა — მშენებლებმა, რომლებმაც რამდენჯერმე უნდა დააჩქარონ ბინების მშენებლობის ტემპი, შექმნან ტაშკენტს ახალი კეთილმოწყობილი უბნები...

ალმა-ატაში გამართულმა სადღესასწაულო დემონსტრაციამ ცხადყო, რომ ყაზახები მზად არიან მოძმე ხალხების ერთიან ოჯახში მოიპოვონ ახალი გამარჯვებანი. პარადის შემდეგ ლენინის სახელობის მოედანზე სიმღერითა და მუსიკით, შრომითი მიღწევების პატაკებით ერთიან მწკრივად ჩაიარეს ყაზახებმა და რუსებმა, უკრაინელებმა და უიღურებმა, ბელორუსებმა და თათრებმა, უზბეკებმა და აზერბაიჯანელებმა...

მშვიდობა და შრომა... ეს იყო ტალინში გამართული დემონსტრაციის გაფორმების მთავარი თემა. ტალინელებმა კარგად იშრომეს, საქმით უპასუხეს XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს. ქალაქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ოთხი თვის გეგმა. მოედანზე ჰქუხს მძლავრი „ვაშა“, როცა ტრიბუნიდან გაისმის: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას!“.

სიხარულით შეხვდნენ დღესასწაულს სხვა რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, ლატვიისა და მოლდავეთის, თურქმენეთისა და ლიტვის, ტაჯიკეთის, სომხეთისა და ყირგიზეთის დედაქალაქებიც.

ლენინგრადი, ზამთრის სასახლე.... სასახლის ისტორიულ მოედანზე გაიარეს დემონსტრანტებმა. ტრიბუნების წინ ჩამოატარეს ოქროს ვარსკვლავით დამშვენებული ლენინის ქალაქის დროშა.

ახალი ხუთწლედის პირველ გაზაფხულზე კიროველები სამშვიდობო ვახტზე დგანან: აღნობენ ფოლადს, უშვებენ გემების ტურბინებს, აწყობენ ტრაქტორებს.

... ვლადივოსტოკი, მშრომელი ქალაქი, მეზღვაური ქალაქი, სასაზღვრო ქალაქი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი შეხვდა გაზაფხულისა და შრომის დღესასწაულს. რეიდზე ჩამწკრივებულან წითელდროშოვანი წყნარი ოკეანის ფლოტის საბრძოლო ხომალდები, გაიმართა საზღვაო პარადი.

[illegible] ყველაფერი ახარებს აქ თვალს. XXIII ყრილობის დირექტივებით დასახულია სამთომომპოვებელი მრეწველობის სწრაფი განვითარება.

სადღესასწაულო კოლონებში მოდიან გეოლოგები, რომლებმაც აღმოაჩინეს ალმასის, ოქროს, გაზის ახალი საბადოები, ახლად შექმნილი გაერთიანების „იაკუტოქროს“ მუშაკები. დღესასწაულის წინ ცნობილი გახდა, რომ ოქროს ინდიგირკის, ალმასის აიხალის მაღაროელებმა პირველი ადგილი მოიპოვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში...

გორკის სადღესასწაულოდ მორთულ რევოლუციის მოედანზე პირველი გამოვიდა სორმოველი — ვეტერანი, ძველი კომუნისტი ზეინკალი ივანე ვასილის-ძე მაკაროვი, რომელსაც ხელში ეჭირა სახელგანთქმული ქარხნის „წითელი სორმოვოს“ დროშა.

— ეს ჩემი საიუბილეო, 50-ე მაისობაა, — ამბობს იგი.

მედროშესთან ერთად ჩაიარეს მისი სიჭაბუკის მეგობრებმა, სორმოვოში გამართული საბარიკადო ბრძოლების მონაწილეებმა, ყოფილმა წითელგვარდიელებმა — იმათ, ვინც ერთად მიდიოდნენ საპირველმაისო კოლონაში 1917 წელს.

მზიანი და აყვავებული პირველი მაისი მოვიდა სტავროპოლის მხარის მინდვრებში. ამ გაზაფხულზე მთავრობამ დააჯილდოვა მხარის სოფლის სამი ათასზე მეტი მშრომელი, სოციალისტური შრომის გმირთა თანავარსკვლავედს კიდევ 24 კაცი შემატა.

ბევრი ქალაქი, რაიონი, დაბა ატარებს პირველი მაისის სახელს. იქნება ეს სამრეწველო ცენტრი თუ პატარა სოფელი — ყველგან ორმაგი დღესასწაულია, დღესასწაულობენ მათი მცხოვრებნი. სტანიცა პერვომაისკაიაში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში რომ არის, და არხანგელსკელ მექაღალდეთა მომავალ ქალაქ პერვომაისკში — ყველგან მხიარულება სუფევდა.

მაისი მოაბიჯებს ჩვენს ქვეყანაში...

(საქდესის კორ.).

# საპირველმაისო დროშები ფრიალებს ჩვენს პლანეტაზე

მთელი მსოფლიოს ხალხებმა ზეიმით აღნიშნეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე 1 მაისი.

სოფიის, პრაღის, ბუქარესტის, ბერლინის, ვარშავის, ბუდაპეშტისა და სოციალისტური ქვეყნების სხვა დედაქალაქების ქუჩები და მოედნები სადღესასწაულოდ არის მორთული. ათასობით მშრომელი გამოვიდა დემონსტრაციებზე. ყველგან წითელი დროშებია, დემონსტრანტებს მოაქვთ ყვავილები. ტრანსპარანტები მოგვითხრობენ სოციალისტური ქვეყნების შრომითს გამარჯვებებზე, ლოზუნგები მოგვიწოდებენ განვამტკიცოთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ერთობა, სოციალისტური ბანაკის ძლიერება. დემონსტრაციები რამდენიმე საათს გაგრძელდა.

მოძმე ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელებმა, რომლებიც საპირველმაისო მიტინგებზე გამოვიდნენ, ილაპარაკეს დიად სოციალისტურ თანამეგობრობაზე, მამაცი ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლის მხარდაჭერაზე.

ჩეხოსლოვაკიაში პირველი მაისის დღესასწაული გაიმართა ლოზუნგით: „პარტიისა და ხალხის მჭიდრო ერთობით — სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის“.

წელს პირველი მაისის დღესასწაულით დამთავრდა პოლონეთის სახელმწიფოს ათასი წლისთავის ზეიმის წელი. ამ დღესასწაულის აღსანიშნავად პოლონელმა ხალხმა ააშენა 1000-ზე მეტი სკოლა და ამით ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი აგური შემატა თავის სამშობლოს ნათელი მომავალის საძირკველს.

„ხელები შორს ვიეტნამისაგან!“, „დასავლეთგერმანელ იმპერიალისტებს ხელში არ ჩავუგდოთ ატომური იარაღი!“, „ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის!“ — ასეთი ლოზუნგებით შეხვდნენ 1966 წლის 1 მაისს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები.

საპირველმაისო ჰანოი ბრძოლისათვის გამზადებულ მებრძოლს ჰგავდა. საბრძოლო, დაძაბული მდგომარეობის მიუხედავად, ხალხი ზეიმობდა. ქუჩებში გაკრულია ტრანსპარანტები საპირველმაისო მოწოდებებით. მათ გვერდით უამრავი ციფრი „1000“: დღესასწაულის წინ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დამცველებმა მეათასე ამერიკული თვითმფრინავი ჩამოაგდეს. მთელ ჰანოიში მოეწყო მიტინგები.

კუბის დედაქალაქმა მრავალათასიანი დემონსტრაციითა და მიტინგით აღნიშნა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე.

ბელგრადში პირველი მაისი აღინიშნა ტრადიციული კულტურული მანიფესტაციებით. დილიდანვე პროფესიონალმა მსახიობებმა და უამრავმა თვითმოქმედმა კოლექტივმა სადღესასწაულო კონცერტები გამართეს ღია ცის ქვეშ.

პირველი მაისის დღესასწაული კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მშრომელებმაც აღნიშნეს. სადღესასწაულო მიტინგი გაიმართა ნიუ-იორკში. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ამ დღეს ჩაიარა დემოკრატიის, ეროვნული ინტერესების დასაცავად, მიწის მუშისათვის მიწების გადასაცემად, ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის განსამტკიცებლად ბრძოლის ლოზუნგებით. სანხოსეში, გუაიაკილში, სანტ-იაგოში გამართული მიტინგებისა და დემონსტრაციების მონაწილეებმა დადეს ფიცი, რომ იბრძოლებენ ამერიკული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

საიგონსა და სამხრეთ ვიეტნამის სხვა ქალაქებში საპირველმაისო დემონსტრაციები ანტიამერიკულ გამოსვლებად გადაიქცა.

საფრანგეთის დედაქალაქში შრომის პალატის წინ შეიკრიბა პარიზისა და მისი მუშათა გარეუბნების ათასობით მშრომელი, რათა სოლიდარობა გამოეცხადებინათ ვიეტნამელი ხალხისათვის, ეჩვენებინათ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ საგაფიცვო ბრძოლა საფრანგეთის პროლეტარიატის საარსებო ინტერესების გამომხატველ მოთხოვნათა დასაცავად.

მუშათა ლონდონმა მშრომელთა დღე აღნიშნა მასობრივი დემონსტრაციითა და მიტინგებით.

იტალიის მშრომელებმა პირველი მაისი იზეიმეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში ერთობის ნიშნით. ისინი გამოვიდნენ კაპიტალისტთა შეტევის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის აგრესიისა და ფაშისტური გამოხდომების წინააღმდეგ.

იაპონიის 6,5 მილიონი მშრომელი გამოვიდა ქალაქების ქუჩებში. ორატორები მოითხოვდნენ მშვიდობის დაცვას, ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში მანქანათმშენებელთა და მეღითონეთა, რკინიგზელთა და მშენებელთა, მუშათა მოძრაობის ვეტერანთა, ახალგაზრდული, ქალთა, სასპორტო და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მძლავრი დემონსტრაციების დასასრულს გაიმართა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდა სულ ცოტა 25 ათასი კაცი.

დიდი აღმავლობის ვითარებაში აღინიშნა პირველი მაისი გვინეის დედაქალაქმა. კონაკრიში გაიმართა მშრომელთა სადღესასწაულო სვლა.

საპირველმაისო დემონსტრაციები მოეწყო დელიში, ბომბეიში, კალკუტაში, მადრასსა და ინდოეთის სხვა ქალაქებში.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ქალაქებში — კაიროში, ალექსანდრიაში პორტსაიდში, ასუანსა და სოფლის რაიონებში მოეწყო 1 მაისისადმი მიძღვნილი კრებები, სახალხო სეირნობანი. სირიის მშრომელებმა პირველი მაისი აღნიშნეს როგორც ოფიციალური დღესასწაული. ათასობით ადამიანი გამოვიდა დემონსტრაციებზე.

ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის მუშათა კლასმა აღფრთოვანებითა და ენთუზიაზმით იზეიმა პირველი მაისი, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო დღესასწაული. პრეზიდენტმა მასამბა-დებამ, რომელიც მიტინგზე გამოვიდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონგოს მუშათა კლასი კონგოს რევოლუციის მედროშეა.

• • •

საპირველმაისო დემონსტრაციები და მიტინგები გაიმართა აგრეთვე ცეილონში, ტანზანიაში, ალჟირში, ლიბანში, ნორვეგიაში, მაროკოში, სენეგალში, დასავლეთ გერმანიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, მალიში, კოლუმბიაში, ტუნისში, ავსტრალიასა და დედამიწის მრავალ სხვა ქვეყანაში. (საქდესი).

# სხვადასხვა მერიდიანზე

□ დამასკო, 3 მაისი. (საქდესი). სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გუშინ დაამტკიცა ოქმი ევფრატის კაშხალისა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც ამა წლის 22 აპრილს მოაწერეს ხელი მოსკოვში სირიის მთავრობის დელეგაციისა და საბჭოთა მთავრობის მოლაპარაკების შედეგად.

□ კაირო, 3 მაისი. (საქდესი). დღეს დილით ალექსანდრიაში დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკება იუგოსლავიის პრეზიდენტ ტიტოსა და პრეზიდენტ ნასერს შორის. ტიტო ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

□ ჰანოი, 3 მაისი. (საქდესი). 21 აპრილს განთავისუფლების არმიის ქვედანაყოფებმა ზიალაის პროვინციაში იერიში მიიტანეს ამერიკელთა პლეიკუს ავიაბაზის ასაფრენ მინდორზე. ეს ერთ-ერთი უდიდესი ავიაბაზაა სამხრეთ ვიეტნამში.

გაბედული ღამის თავდასხმის შედეგად მოსპეს ამერიკელთა სხვადასხვა ტიპის 40 თვითმფრინავი, 11 დაცვითი სიმაგრე, დახოცეს და დაჭრეს მოწინააღმდეგის 380 ჯარისკაცი და ოფიცერი.

□ კოლუმბიის პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვა ეროვნული ფრონტის კანდიდატმა დოქტორ კარლოს ლიერას რესტრეპომ. ეროვნული ფრონტი აერთიანებს ბურჟუაზიულ პარტიებს.

□ ნიუ-იორკი, 3 მაისი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიულმა და პროგრესულმა ძალებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს — გაუქმდა ოფიციალური ბრძანება იმის შესახებ, რომ „აბრამ ლინკოლნის სახელობის ბრიგადის ვეტერანები“ რეგისტრაციაში გატარებულიყვნენ იუსტიციის სამინისტროში, როგორც ორგანიზაცია, რომელიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა. ამ ორგანიზაციაში შედიან ამერიკელები, რომლებიც ერთ დროს ესპანეთის რესპუბლიკური არმიის რიგებში იბრძოდნენ.

□ ბონი, 3 მაისი. საქდესის კორესპონდენტი ა. ტიუპაევი გვატყობინებს:

ბონში დამთავრდა საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრების მესმერისა და ფონ ჰასელის ორი დღის მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ საფრანგეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი აიერე და ბუნდესვერის გენერალური ინსპექტორი გენერალი ტრეტნერი. მოლაპარაკების დროს განიხილეს პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებასთან გაიყვანოს თავისი ჯარები ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან.

# კონგოს ქალაქების ახალი სახელწოდებანი

ლონდონი, 3 მაისი. (საქდესი). ლეოპოლდვილის კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქს, რომელსაც ბელგიის ყოფილი მეფის ლეოპოლდ II-ს სახელი ეწოდება, ამიერიდან დაერქმევა კინშასა. როგორც რეიტერის სააგენტოს ლეოპოლდვილელი კორესპონდენტი იტყობინება, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო დღეს ლეოპოლდვილის კონგოს მთავრობამ.

ლეოპოლდვილის კონგოს ზოგიერთ სხვა დიდ ქალაქს აგრეთვე შეეცვლება კოლონიური სახელწოდება. მაგალითად, კერძოდ, ზემო კონგოს პროვინციის დედაქალაქ სტენლივილს ამიერიდან დაერქმევა კისანგანი, ხოლო მოიზ ჩომბეს ყოფილი თავშესაფარის — სამხრეთ კატანგის დედაქალაქ ელიზაბეტვილს დაერქმევა ლუმუმბაში.

ახალი სახელწოდებანი ძალაში შევა 1 ივლისს, ლეოპოლდვილის კონგოს დამოუკიდებლობის მეექვსე წლისთავის დღეს.

# სტიქიური უბედურება ინდონეზიაში

ჯაკარტა, 3 მაისი. (საქდესი). როგორც პრესა იუწყება, 100-ზე მეტი კაცი დაიღუპა კელუდის ვულკანის ამოფრქვევის შედეგად აღმოსავლეთ იავაზე, სურაბაის სამხრეთით 80 კილომეტრზე. ათასამდე ჰექტარი ბრინჯის ყანა, ყავის და ჩაის პლანტაცია გაანადგურა ლავამ და ამონაფრქვევმა ფერფლმა. გავარვარებული ლავის ერთ-ერთმა ნაკადმა მთლიანად მოსპო სოფელი, რომელიც ვულკანის კრატერის მახლობლად მდებარეობდა. დღემდე გაურკვეველია, თუ რა ბედი ეწია იმ სოფლების რამდენიმე ასეულ მცხოვრებს, რომლებიც დანგრეული სოფლის მახლობლად მდებარეობენ. ლავის ნაკადებმა რამდენიმე მდინარის კალაპოტი აავსეს და ქალაქ ბიტარის ჩრდილოეთ ნაწილს მიაღწიეს.

როგორც ინდონეზიის ანტარის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ლავის ნაკადებმა დანარჩენ სამყაროს მოსწყვიტეს 35 კაცი, რომლებმაც მაღალ ბორცვს შეაფარეს თავი. 600-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი და 40 ხიდი მთლიანად დანგრეულია.

ამოფრქვევა ერთი კვირის წინათ დაიწყო.

იავაზე დღეს დაიწყო კიდევ ერთი ვულკანის — მერაპის ამოფრქვევა, რომელიც 290 კილომეტრით არის დაშორებული სემარანგს.

ვულკანის ამოფრქვევის მსხვერპლთა და გამოწვეული ზარალის შესახებ არაფერს იუწყებიან.

# საოლქო წინასაარჩევნო თათბირებზე

ფოთი. გაიმართა იმ საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი, რომლებიც შედიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ფოთის № 687 საარჩევნო ოლქში.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ფოთის საარჩევნო ოლქის საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პეტრე ალექსანდრეს-ძე როდიონოვი.

თათბირმა სთხოვა პ. ა. როდიონოვს კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში დეპუტატობაზე.

ბათუმის № 170 საარჩევნო ოლქში შემავალი საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა წარმომადგენლებმა საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე ერთსულოვნად მოიწონეს წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შალვა დავითის-ძე კიკნაძე.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს შ. დ. კიკნაძეს დეპუტატად კენჭი იყაროს ბათუმის № 170 საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის ფრუნზეს № 494 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ბათუმის ფრუნზეს საარჩევნო ოლქში შემავალი საწარმოებისა და დაწესებულებების კოლექტივთა წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი რომ დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბორის ნიკოლოზის-ძე პონომარიოვი და ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნის ამწყობი ზეინკალი მერი ხასანის ასული დუმბაძე.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს ბ. ნ. პონომარიოვსა და მ. ხ. დუმბაძეს კენჭი იყარონ ბათუმის ფრუნზეს № 494 საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე.

წყალტუბოს საარჩევნო ოლქის საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების ასობით წარმომადგენელი შეიკრიბა წინასაარჩევნო თათბირზე.

თათბირი გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გ. ვაშაძემ.

თათბირზე გამოვიდნენ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის პარტბიუროს მდივანი დ. ხეცურიანი, მაღაროთსამმართველოს „საქგუმბრინის“ მუშა ო. ჩოგოვაძე, წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ც. კორკოტაძე, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. თევდორაძე, წყალტუბოს სანატორიუმის „რიონის“ ექიმი ლ. შავგირაძე, წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელი გ. მუშკუდიანი, რომლებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წყალტუბოს საარჩევნო ოლქის საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის ამწმენდი ოთარ დოროთეს-ძე ბრეგაძე.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს ოთარ დოროთეს-ძე ბრეგაძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად კენჭი იყაროს წყალტუბოს № 190 საარჩევნო ოლქში.

გუდაუთა. გაიმართა გუდაუთის საარჩევნო ოლქის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირი.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი გიორგი ალექსის-ძე ძიძარია და გამოთქვეს რწმენა, რომ გ. ა. ძიძარია გაამართლებს ხალხის დიდ ნდობას.

თათბირმა მიიღო წერილი დეპუტატობის კანდიდატისადმი, რომელშიც სთხოვს დეპუტატად კენჭი იყაროს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გუდაუთის № 486 საარჩევნო ოლქში. მიღებულია აგრეთვე მიმართვა ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი და არჩეულია ნდობით აღჭურვილი პირნი.

ქედის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების თათბირმა ერთსულოვნად დაადგინა მოიწონოს წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქედის № 496 საარჩევნო ოლქში დაასახელონ ქედის რაიონის სოფელ ვაიოს კოლმეურნეობის საუკეთესო მეთამბაქოე მარიამ კემბერის ასული ნიჟარაძე.

თათბირის მონაწილეებმა მ. კ. ნიჟარაძეს მიმართეს წერილით, რომელშიც სთხოვენ დეპუტატად კენჭი იყაროს ქედის საარჩევნო ოლქში.

ქობულეთი. ჩაქვის № 501 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად მოიწონა ჩაქვის საარჩევნო ოლქში შემავალი საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივთა წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ ქობულეთის რაიონის სოფელ ხალის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე — ლილი მემედის ასული კონცელიძე.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს თავიანთ კანდიდატს კენჭი იყაროს ჩაქვის № 501 საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქობულეთის № 497 საარჩევნო ოლქში შემავალი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების ასობით წარმომადგენელი შეიკრიბა საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე.

თათბირის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს კოლმეურნეობის საუკეთესო მეჩაიე თინა რემიზის ასული ცეცხლაძე.

წინასაარჩევნო თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს თ. რ. ცეცხლაძეს დეპუტატად კენჭი იყაროს ქობულეთის № 497 საარჩევნო ოლქში.

ხელვაჩაური. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ხელვაჩაურის № 499 საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო თათბირმა მხარი დაუჭირა მშრომელთა კოლექტივების გადაწყვეტილებებს, რომ საბჭოთა პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი სერგო ალექსანდრეს-ძე ზაქარიაძე.

თათბირმა სთხოვა ს. ა. ზაქარიაძეს დეპუტატად კენჭი იყაროს ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში.

ცხინვალი. ცხინვალის № 737 სასოფლო საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება, მოიწონონ წინასაარჩევნო კრებების დადგენილებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის ბრიგადირის გრიგოლ ვასილის-ძე საგკაევის დასახელების შესახებ.

თათბირმა სთხოვა გ. ვ. საგკაევს კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში დეპუტატობაზე.

ლენინგორი. გაიმართა ლენინგორის № 740 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი. თათბირმა მოიწონა წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი, რომ ლენინგორის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ოტორინოლარინგოლოგიის კათედრის გამგე ლენინური პრემიის ლაურეატი სიმონ ნიკოლოზის-ძე ხეჩინაშვილი.

თათბირის მონაწილეებმა წერილობით სთხოვეს ს. ნ. ხეჩინაშვილს კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში დეპუტატობაზე.

თათბირზე მიღებულია მიმართვა ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი და არჩეული არიან ნდობით აღჭურვილი პირნი.

• • •

წინასაარჩევნო თათბირებზე მიიღეს მიმართვები ოლქების ყველა ამომრჩევლისადმი და აირჩიეს ნდობით აღჭურვილი პირნი.

(საქდესი).

# ხალხის კანდიდატები

გორი. სოფელ მეჯვრისხევის კოლმეურნეობაში გაიმართა ხალხმრავალი კრება, რომელიც მიეძღვნა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას. კრების მონაწილეებმა ერთხმად გადაწყვიტეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გორის № 173 საარჩევნო ოლქში დაასახელონ საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი რევაზ ალექსანდრეს-ძე ბზიშვილი.

ზუგდიდი. ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე ერთხმად დაასახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზუგდიდის № 176 საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ვიქტორ სტეფანეს-ძე კვარაცხელია.

გარდაბანი. გარდაბნის რაიონის სამგორის სანაშენე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რუსთავის № 182 საარჩევნო ოლქში დაასახელონ ამ საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეფრინველე ეთერ პეტრეს ასული კეჟერაშვილი და სთხოვონ მას კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში.

სოხუმი. სოხუმის № 8 სტამბის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის ლენინის № 481 საარჩევნო ოლქში ერთხმად დაასახელეს ამ სტამბის წარჩინებული მბეჭდავი აგრაფინა ანდრიას ასული ძიძარია.

გულრიფში. გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობაში გაიმართა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება. კოლმეურნეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გულრიფშის № 487 საარჩევნო ოლქში დაასახელონ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ გერასიმეს-ძე ჩიქოვანი.

შუახევი. შუახევის რაიონის სოფელ ჰვანის კოლმეურნეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად შუახევის № 502 საარჩევნო ოლქში ერთხმად დაასახელეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლევან მიხეილის-ძე დავითაძე. (საქდესი).



თბილისი. 1966 წლის 1 მაისი. სურათზე: თბილისის გარნიზონის ჯარების გავლა ტრიბუნის წინ რუსთაველის პროსპექტზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

აკაკი გეწაძე

## დღეს ყველა ფიქრი ჰყვავის მზისფერად

ცა ბრწყინავს ღრუბლებგადანაყარი
და მიწა ღელავს სიცოცხლის ზღვებად.
ჰა, საქართველოს მღერის მთა-ბარი,
მთა-ბარი ხალხის ღიმილით თბება.

სიცოცხლის დიდი გალობა მესმის
და მწამს, დღეს მიწის ღიმილს და
ლივლივს
შეჰფერის მხოლოდ ლამაზი ლექსი.
შეშვენის მხოლოდ გალობა ტკბილი.

მეც გამიტაცებს ოცნება დიდი
ახალ-ახალი სამყაროს ხილვის
და ცისარტყელას შვიდფერი ხიდით
მთებიდან მთებზე ღიღინით ვივლი.

არ მაქვს მარტოდენ ფიქრი ხალასი,
მხოლოდ ოცნებით არ ვიმოსები:
ხელში მიჭირავს დროშა ლამაზი
სიყვარულის და პატიოსნების.

მზეს ძმობის ხიდზე სჩვევია ლხინი,
ჩვენ გავამრავლეთ ძმობის ხიდები
და განა მარტო პურით და ღვინით,
სიყვარულითაც უფრო ვმდიდრდებით.

დღეს ყველა ფიქრი ჰყვავის
მზისფერად,
მღერის ქალაქი, მღერის სოფელი
და უერთდება ამ დიდ სიმღერას
ჩემი პატარა საგალობელი.

## მაისს უმღერიან

სტრიქონები მკითხველთა ლექსებიდან

მინდა მუშურად გითხრა დიდება,
გამხარებელო ჩვენი გულისა,
მზე არასოდეს დაიბინდება
ამ საოცნებო გაზაფხულისა.
ს. ხიდისთაველი-კალანდაძე,
მუშა-პოეტი.

გამარჯვებული სულ იყავ,
ოქტომბრის ცეცხლით ნაშობო,
ჩვენი გული ხარ, სული ხარ,
ჩვენო ლამაზო სამშობლოვ.
მ. ძველაია,
ქ. თბილისი.

ბალნარად შემოქარგული
სხივმოკაშკაშე მთა-ველი,
ხოხბის ყელივით ლამაზი
მიწა, თუნდ ერთი მტკაველი.
აყვავებულა მიდამო
მშობელი ქვეყნის კერისა,
ხვავდება უხვი ბარაქა
ამ მხარის შესაფერისად,
მაისის დროშა მიგვიძღვის
მარჯან-ყაყაჩოს ფერისა.
ალ. ანანიძე,
ქედა, ხოფ. ცხმორისი.

# შრომის, მშვიდობის გუშაგი

როგორც მტკვრის რომელიც გნებავთ წერტილზე არასოდეს ერთი და იგივე წყალი არა დგას, რუსთაველის პროსპექტიც, რამდენჯერაც უნდა გაიარო იგი, არასოდეს არ არის ერთნაირი. მუდამ ახალი თვალით უყურებ მას. როგორც მტკვარში წყალი არ ამოილევა, რუსთაველის პროსპექტზე მიმავალსაც არასოდეს არ გტოვებს ახლისა და მშვენიერების გრძნობა. რუსთაველის პროსპექტი, დედაქალაქის ეს მთავარი და ულამაზესი მაგისტრალი, სიყვარულის ამოუწურავი საუნჯეა. აქ ფეთქავს დედაქალაქის ცხელი გული და მისგან, როგორც მზისაგან სხივები, მოკიაფობენ სხვა ქუჩები — დიდი თუ პატარა მაგისტრალები.

საზეიმოდ მოკაზმულია პროსპექტი — შენობათა ფასადებზე ფრიალებენ წითელი ალმები; ტრანსპარანტებზეა საპირველმაისო მგზნებარე მოწოდებათა სიტყვები.

მთავრობის სახლი! მის ფასადზეა პორტრეტი ადამიანისა, რომელიც ამომავალ მზედ მოევლინა კაცობრიობას, — დიდი ლენინისა. იგი მოღიმარე, შორსმჭვრეტელი თვალებით, მოსიყვარულე მამის თვალებით გიმზერს, და სიამაყის გრძნობა გეუფლება, რომ მისი იდეები, ლენინის იდეები ასე ძლევამოსილად ისხამენ ხორცს, და რომ ამ დიად ხორცშესხმათა ნაყოფით შენც სარგებლობ, რომ შენც წვლილი შეგაქვს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

მთელ პროსპექტზე განლაგებული არიან თბილისის გარნიზონის ჯარების ნაწილები, სულ მალე ისინი დაიძვრიან და მძლავრი, ძლევამოსილი სამწყობრო ნაბიჯებით ჩაუვლიან ტრიბუნებს. მანამდე კი მოდით თვალი შევავლოთ მათ — ჩვენს შვილებსა და ძმებს, ხალხის საამაყო შვილებს, წარგზავნილთ ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან, საკოლმეურნეო მინდვრებიდან და მშენებლობათა ხარაჩოებიდან, შახტებიდან და დაწესებულებებიდან, — რათა დაიცვან ხალხისავე დიადი მონაპოვარნი, დაიცვან ჩვენი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა.

ჩვენი მამაცი მეომრები იცავენ ჩვენს წარმტაც აწმყოს და უფრო დიდებულ მომავალს. ჩვენს რესპუბლიკაზე ვილაპარაკოთ. ყოველი მეომარი ამაყობს წლევანდელი განსაკუთრებული პირველმაისობით — საქართველო ორგზის ლენინის ორდენოსანია. დროშას, რომელსაც ეს მეომრები იცავენ, რომელიც ახლა, ამ დიად დღესასწაულზე ასე ამაყად ფრიალებს, ლენინის ორი ორდენის გამოსახულება აქვს. ეს — ამ ჯარისკაცთა მშობელი ხალხის — საქართველოს მშრომელთა მიღწევებია აღნიშნული, მიღწევები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტებზე. შენდება, მშვენდება ჩვენი დედაქალაქი — თბილისი.

თვითეული მეომარი ამაყობს წარმატებებით, რაც მოპოვებულია ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში. პარტიის XXIII ყრილობის მიერ მიღებული ახალი ხუთწლიანი გეგმით აღფრთოვანებული საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იღვწიან ახალ-ახალი გამარჯვებებისათვის. ჩვენი პირველმაისობა უფრო სასიხარულო რომ ყოფილიყო, ისინი უპატაკებდნენ სამშობლოს ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, შახტებში და მშენებლობებზე მოპოვებულ წარმატებებს.

გაგვახარა დღესასწაულის წინ გამოქვეყნებულმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგებმა — გადაჭარბებით შესრულებულია თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, მარგანეცის, ელმავლების, ავტომობილების, ჩაის, ავეჯისა და სხვა ნაკეთობათა და პროდუქტების წარმოების გეგმა.

სადღესასწაულო განწყობილებას ისიც ამაღლებს, რომ სულ ახლახან მიღებულ იქნა სასიხარულო ცნობა, რომ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მოწინავეთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, ხოლო სამოცდაათს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. დაჯილდოებულთა შორის ბევრია ნათესავი და ახლობელი მშვიდობისა და შრომის დამცველი ამ მეომრებისა, ახლა რომ ელოდებიან ბრძანებას, რათა საზეიმო ნაბიჯებით დაიძრან ტრიბუნებისაკენ.

— დაე მუდამ ცოცხლობდეს და იფურჩქნებოდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ერთობა და ძმური მეგობრობა! — იმეორებს გული სადღესასწაულო მოწოდებათა სიტყვებს.

წვიმს, მაგრამ პროსპექტის ორივე მხარეზე, ტროტუარებზე ჩამწკრივებულან მოზეიმე ადამიანები და სიყვარულით, ინტერესით უცქერიან ჯარის ნაწილებს, საბრძოლო ტექნიკას. ყველას სახეზე საზეიმო, სადღესასწაულო განწყობილება ეხატება.

### თბილისის გარნიზონის ჯარების საპირველმაისო პარადი

◆

საათის ისარი ათს უახლოვდება. მთავრობის სახლიდან გამოდიან და ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ს. ჩრუძე, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. ქიქნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია.

ტრიბუნებზე არიან ძველი ბოლშევიკები, შრომის ნოვატორები, დეპუტატები, მინისტრები, კულტურის მოღვაწენი, გენერლები, შრომისა და ბრძოლის გმირები.

ლენინის მოედნის მხრიდან რუსთაველის პროსპექტისაკენ ღია მანქანით მოემართება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ა. ტ. სტუჩენკო. ცენტრალური ტრიბუნის წინ მას ღია ავტომობილითვე ეგებება პარადის სარდალი სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი ლ. ა. დრაგუნსკი, რომლის მკერდზე საბჭოთა კავშირის გმირის ორი ვარსკვლავი კიაფობს. მას შემდეგ, რაც მისგან მიიღო პატაკი პარადისათვის თბილისის გარნიზონის ჯარების მზადყოფნის შესახებ, არმიის გენერალმა ა. ტ. სტუჩენკომ იწყო ჯარის ნაწილების შემოვლა.

— მოგილოცავთ 1 მაისს, — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს! — სარდლის ამ მილოცვის პასუხად გაისმოდა მხედრული „ვაშა!“.

ჯარების შემოვლის შემდეგ გაისმის ფანფარების ხმა. ეს ყურადღებისაკენ მოუწოდებს — სარდალი მთავრობის ტრიბუნაზე ადის და წარმოთქვამს სიტყვას.

— საქართველოს მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელითა და დავალებით, — ამბობს ამხ. სტუჩენკო, — მოგესალმებით და მოგილოცავთ ჯარისკაცებს, მატროსებს, სერჟანტებს, ზემდეგებს, ოფიცრებსა და გენერლებს, საბჭოთა საქართველოს მშრომელებს პირველი მაისის დღესასწაულს. წელს, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები ყველა ქვეყნის მუშათა ერთობისა და ძმობის დღეს განსაკუთრებული სიხარულითა და ზეიმით ხვდებიან.

საბჭოთა ხალხმა იცის, ამბობს ამხ. სტუჩენკო, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის საჭიროა მშვიდობა. ამიტომ იგი მხურვალედ იწონებს თავისი მთავრობის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. მაგრამ იმპერიალისტური ძალები ცდილობენ გააჩაღონ ახალი ომის ცეცხლი. მათ ცეცხლითა და მახვილით სურთ ქედი მოახრევინონ თავისუფლებისმოყვარე ხალხებს. ასე სურთ მოექცნენ ვიეტნამსაც. მაგრამ წავიდა ის დრო, როცა იმპერიალისტებს დაუსჯელად შეეძლოთ ყაჩაღობა. ვიეტნამელი ხალხი მარტო არ არის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

— თავიანთი მხედრული მოვალეობის ერთგული, თავიანთი ხალხის სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი ამიერკავკასიის მეომრები წმიდად იცავენ და ამრავლებენ საბჭოთა არმიისა და ფლოტის გმირულ ტრადიციებს. ისინი ახალ წარმატებებს აღწევენ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, ახალი ტექნიკის დაუფლებაში. საბჭოთა ჯარები მუდამ მზად არიან ებრძოლონ ყოველ აგრესორს და შემუსრონ იგი.

ამხ. სტუჩენკო თავის გამოსვლას ამთავრებს სიტყვებით:

— გაუმარჯოს პირველ მაისს! გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს, ლენინის მიერ შექმნილ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

მიდამოს ეფინება სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის დიდებული მელოდია, მას ცვლის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი.

მთელ პროსპექტზე გაისმის მძლავრი მხედრული „ვაშა“, რომელიც ტალღასავით გადადის კოლონიდან კოლონებზე, ამას კიდევ უფრო მატებს სიდიადეს საარტილერიო სალუტები.

იწყება პარადი. მას ტრადიციულად ხსნის ოფიცერთა კორპუსის წარმომადგენელთა კოლონა. თვალს იტაცებს მათი მწყობრი, მძლავრი ნაბიჯები. ბევრი მეომრის მკერდს ამშვენებს საბრძოლო ორდენები — დიდი სამამულო ომის ფრონტებზე მიღებული. მათ შორის არიან მეომრები, რომლებიც იბრძოდნენ კავკასიის ფრონტზე და მონაწილეობა მიიღეს ოპერაციებში, რომლებმაც უკუაქცია ჰიტლერელთა რჩეული სამხედრო ნაწილები. მრავალ ჩვენს სამხედრო ოფიცერს, რომლებიც გვხიბლავენ თავიანთი საზეიმო სვლით, მკერდზე უკიაფებს მედალი „კავკასიის დაცვისათვის“. აქ რუს ლესინთან და უკრაინელ დიდენკოსთან ერთად ვხედავთ ომგადახდილ ქართველ ოფიცერ კალანდიასაც. შემდგომ კოლონებში რუს, უკრაინელ, ბელორუს, აზერბაიჯანელ, სომეხ მეომრებთან ერთად მოაბიჯებენ ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულენიც — ნოდარ ქემერიძე, გიორგი კოპალეიშვილი, ავთანდილ აბაშიძე, ვლადიმერ ჯანუაშვილი. საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში წარმატებებით მოიპოვეს მათ უფლება მონაწილეობა მიეღოთ პარადში.

წარმტაც სანახაობას წარმოადგენს თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის, გვარდიულ ქვედანაყოფთა, ავიატორთა, კავშირგაბმულობის ქვედანაყოფთა, მესაზღვრეთა, მეზღვაურთა კოლონების საპარადო სვლა.

ტრიბუნებს ჩაუარეს კოლონებმა. წუთით გაირინდა დაცარიელებული პროსპექტი. ეს სიჩუმეა ახალი აღმაფრთოვანებელი სანახაობის წინ.

გამოჩნდნენ საბრძოლო ტექნიკის — მექანიზებულ ნაწილთა კოლონები. პროსპექტს მოედო მოტორების მძლავრი გუგუნი. მოდიან ავტომობილები და ჯავშანტრანსპორტიორები. მედესანტე პარაშუტისტები, მძლავრ საწევრებს შემოჰკავთ ქვემეხები და ჰაუბიცები; აი გამოჩნდა სამშობლოს სასახელო საბრძოლო ტექნიკა — მოდიან ლეგენდარული გვარდიული ნაღმსატყორცნები „კატიუშები“, ომგადახდილი მანქანები, ფაშისტთა არმიებს მუსრს რომ ავლებდნენ დიდ სამამულო ომში. გვარდიული ნაწილები! წელს საბჭოთა გვარდია, დიდი სამამულო ომის პირმშო გვარდია თავის 25-ე წლისთავს იზეიმებს.

ყურადღებას იპყრობს პროსპექტზე გიგანტური რაკეტების შემოსვლა. მათ ფრენის უდიდესი სიშორე, სიჩქარე და სიმაღლე ახასიათებთ, ყოველგვარ მეტეოროლოგიურ პირობებში შეუძლიათ უდიდესი სიზუსტით მიაღწიონ დასახულ მიზანს.

ჩვენი უძლეველი სამხედრო ტექნიკა კომუნიზმის მშენებელი ხალხის კოლექტიური გენიის ნაყოფია. ის ემსახურება არა თავდასხმას, არამედ თავდაცვას, თუ აგრესორი შეეცდება ხელყოს ჩვენი სამშობლოს საზღვრები, ხელი შეუშალოს მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში, მაშინ მთელი ეს ტექნიკა, ჩვენი მამაცი და გამჭრიახი მეომრების ხელით მართული, რისხვად დაატყდება მას.

უამინდობამ — კაპრიზულმა წვიმამ დაარღვია თბილისელთა საყვარელი ტრადიცია — სამხედრო პარადის შემდეგ პროსპექტი დაეფარა მოზეიმე დემონსტრანტთა ულევ მდინარეს. მაგრამ სადღესასწაულო განწყობილება სუფევდა ყველგან — ოჯახებში, კლუბებში, თეატრებში, თვით წვიმიან ქუჩებში.

ძლევამოსილად შემოაღო კარი ჩვენი სამშობლოს შრომისა და მშვიდობის მაისმა.

ვ. თორდუა.

# ზეიმი საქართველოში

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქები, რაიონული ცენტრები სადღესასწაულოდ მოირთო. დილიდანვე ხალხი გამოეფინა ქუჩებში, მოედნებზე, ისმოდა მუსიკისა და სიმღერის ხმა.

დღესასწაულმა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა. საპირველმაისო ზეიმმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საქართველოს მშრომელები საბჭოთა დიდ ოჯახში ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა, მშენებლობებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით განაღდეს ხუთწლედის პირველი წლის პირველი კვარტალის დავალებები და წარმატებით იბრძვიან ახალ მიღწევათა მოსაპოვებლად.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები პირველი მაისის დღესასწაულზე მოვიდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმულნი, მოვიდნენ მტკიცე გადაწყვეტილებით: არ დაიშურონ ძალა და ენერგია სკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე განაღდებისათვის.

◇ ◇

## ქუთაისი

ქუთაისი. (საქ. კორ.). სადღესასწაულოდ მოირთო და მოიკაზმა რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრი, საგარდო და სამაისო ქუთაისი.

დილის 10 საათზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. ცენტრალურ მოედანზე მწყობრი ნაბიჯით შემოდის ფიზკულტურელთა ნაკრები კოლონა. მოდიან სიცოცხლის ყვავილები პიონერ-მოსწავლეები, მათ მოჰყვებიან ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს წინ მოუძღვის მეთაური კოლონა. ეს ქართული ავტომობილის სახელოვანი მშენებლები, რომლებმაც ვადამდე უპატაკეს ოთხი თვის დავალების შესრულება. ქარხნის კოლექტივს თან მოაქვს თავისი ახალი პროდუქცია — ავტომატარებელი, რომლის სერიულ წარმოებას წლის მეორე ნახევრიდან შეუდგებიან.

თავისი ახალი პროდუქციით — ელექტრომტვირთავით ჩაუარა ტრიბუნას აგრეთვე ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა. „ოთხი თვის დავალება შევასრულეთ 103 პროცენტით“ — სიამაყით გვამცნობენ ტრაქტორმშენებლები. ტრანსპარანტზე წარწერილია, რომ ახალ ხუთწლედში ქარხანა დაიწყებს სამთო ტრაქტორების გამოშვებას.

აბრეშუმის კომბინატის კოლექტივს მოაქვს ტრანსპარანტი, რომელიც გვაუწყებს, რომ ამ ხუთწლედში ამუშავდება გამმყვანი ფაბრიკა, რომელიც წლიურად გამოუშვებს 20 მილიონ მეტრ ქსოვილს.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები სახელოვნად შეასრულეს №4 სამკერვალო ფაბრიკისა და საკონსერვო ქარხნის კოლექტივებმა.

ოთხი თვის დავალების ვადამდე შესრულებას უპატაკებენ აგრეთვე ლითოფონის ქარხნის, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, მინის ტარის ქარხნის, ბამბეულის საქსოვი, ავეჯისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკების კოლექტივები.

სამ საათს გაგრძელდა ქუთაისის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 80 ათასზე მეტმა კაცმა.

1 და 2 მაისს გაიმართა მასობრივი სეირნობანი, კულტურული გართობა, სპორტული ასპარეზობები.

## ბათუმი

ბათუმი. (საქ. კორ.). მოზეიმე გაზაფხულითა და წითელი დროშებით მორთულმა გაიღვიძა საბჭოთა აჭარის დედაქალაქმა სამაისოდ. დილიდანვე მთავარ ქუჩებსა და მოედნებზე ჟღერდა მელოდიები, სიმღერები, გაჩაღდა ტაშ-ფანდური.

11 საათზე დაიწყო აღლუმი. პირველნი მოდიან ქალაქის მოსწავლეთა მრავალათასიანი კოლონები.

მოსწავლეთა კოლონებს მწყობრი ნაბიჯით მოჰყვებიან რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, ტექნიკუმებისა და პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეები.

სივრცეს ავსებს ფანფარების მკვეთრი ხმა, ეს ბათუმის საზღვაო სასწავლებლის კურსანტები მოდიან. ჭაბუკებს შვენით მეზღვაურის მოხდენილი ფორმა, ვაჟკაცური მწყობრი ნაბიჯები. მათ წინ მოუძღვიან აღმზრდელები, დიდი სამამულო ომის მონაწილეები, რომლებმაც მტერთან ბრძოლაში ბევრჯერ ასახელეს საბჭოთა იარაღი.

გამოჩნდნენ ქალაქის საწარმოთა მშრომელები, ის ადამიანები, რომლებიც მუდამ უდიდესი ენთუზიაზმით ეხმაურებიან პარტიის მოწოდებებს და თავდადებული შრომით ახალ წარმატებებს აღწევენ. ამის ნათელი დადასტურებაა ხუთწლედის განვლილი 4 თვის მაჩვენებლები. მათ ტრანსპარანტებზე გამოუხატავთ შრომითი პატაკები. ციტრუსკომბინატის კოლონის წინ დეკორაციულ პანოზე ვკითხულობთ „153%“. ტრიბუნას ამაყად ჩაუარეს ნავსადგურის მუშებმა. ბათუმის ნავსადგური შავი ზღვის აუზში ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა, რომელიც ყოველწლიურად ათასამდე გემს ამუშავებს. ამ 4 თვის გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის შრომითი პატაკია 104,1 პროცენტი. ეს კი ნიშნავს ათასობით ტონა ზეგეგმით პროდუქციას.

ვინ არ იცნობს გემთსამშენებლო, ელექტროტექნიკური, მანქანათსამშენებლო, ელექტრომექანიკური, ელექტროხელსაწყოთ ქარხნების კოლექტივების წარმატებებს, რომელთა პროდუქციის დიდი ნაწილი საექსპორტო დანიშნულებისაა.

40 ათასამდე ბათუმელმა ჩაიარა ლენინის მოედანზე, მათ ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი ერთსულოვანი დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო.

## ცხინვალი

ცხინვალი. (საქ. კორ.). წინადღეს ღრუბლიანი ამინდი იყო. დღესასწაულის დღეს კი მზემ გამოიხედა, დათბა, გაზაფხულის სურნელებამ იმატა. საოლქო ცენტრი საზეიმოდ გამოიყურება. ქუჩები წითლად მორთულია, ვხედავთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ვეებერთელა პორტრეტებს, ლოზუნგებს, ტრანსპარანტებს.

სამაისო ქუჩებში მოძრაობა დილით ადრე დაიწყო. ადამიანები მიიჩქარიან ლენინის მოედნისაკენ, სადაც თავი უნდა მოიყარონ დემონსტრანტთა კოლონებმა.

დილის 11 საათია. კოლონები მწკრივად მოემართებიან ქალაქის ცენტრალური მოედნისაკენ, სადაც საგულდაგულოდ მოურთავთ ტრიბუნა.

როგორც ყოველთვის, ახლაც ტრიბუნასთან პირველი მიაბიჯებენ პიონერები, ახალგაზრდები. ისმის სიმღერები, „ვაშას“ შეძახილები. მოდიან სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, ქალაქის სპეციალური საშუალო სასწავლებლების სტუდენტები, მუშა ახალგაზრდობის სკოლები.

ტრიბუნასთან მწყობრად მიაბიჯებენ ქალაქის საწარმოთა კოლონები. ქალაქის მრეწველობამ ოთხი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ტრიბუნას „ვაშას“ ძახილით, ცეკვებით, სიმღერებით ჩაუარეს ხელოვნების, კულტურის მუშაკებმა, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების კოლონებმა.

დემონსტრაცია დამთავრდა, მაგრამ მთელ დღეს ქალაქში მხიარულება, მასობრივი გართობანი არ შეწყვეტილა.

## რუსთავი

რუსთავი. (საქ. კორ.). ახალი საწარმოო გამარჯვებებით მოვიდნენ სამაისო დღესასწაულზე ქალაქის მრავალრიცხოვანი საწარმოთა კოლექტივები. რესპუბლიკის სიამაყე — მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა სრული მეტალურგიული ციკლით საწარმოო ოთხი თვის დავალება და გეგმის გადამეტებით ასობით ტონა თუჯი, ფოლადი და ნაგლინი გამოუშვა.

წარმატებით იშრომეს ქიმიკოსებმა, მეცემენტეებმა, მშენებლებმა, მექანიკოსებმა. საპირველმაისოდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი მათ ჯერ კიდევ ორი-სამი დღით ადრე შეასრულეს.

დილით ქალაქში წვიმდა. მიუხედავად ამისა, ქუჩებში ადრიანვე გამოვიდნენ მშრომელები.

11 საათისათვის წვიმამ გადაიღო, მზე გამოვიდა. დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. მოსწავლე ახალგაზრდობისა და სპორტსმენების შემდეგ ტრადიციის მიხედვით ტრიბუნას პირველებმა ჩაუარეს სახელოვანმა მეტალურგებმა. მათ კოლონებს მიუძღვიან სოციალისტური შრომის გმირები ვ. კობერიძე, ა. ძამაშვილი და ა. ფანცულაია. მათ მოაქვთ დროშები, რომლებიც მოპოვებულია ქარხნის კოლექტივის მიერ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ახალი ხუთწლიანი გეგმით მეტალურგებმა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდონ პროდუქციის წარმოება, აითვისონ პროდუქციის ახალი სახეები. ლოზუნგები და ტრანსპარანტები, რომლებიც მეტალურგთა კოლონებში მოაქვთ, ასახავენ სკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შუქზე ქარხნის კოლექტივის მომავალ დიდ საქმეებს.

მოედანზე შემოდიან ქართველი ქიმიკოსები, რომლებმაც წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გეგმის გადამეტებით აწარმოეს მინერალური სასუქები, კაპროლაქტამი, ხელოვნური აბრეშუმის კორდი.

მხიარული სახეებით ჩაუარეს ტრიბუნას მშენებლებმა. ეს ამოდენა ქალაქი თავის მრავალრიცხოვანი საწარმოებით ხომ მათ მიერ არის აშენებული მოკლე პერიოდში. მეტად დიდი ამოცანები აკისრიათ რუსთავის მშენებლებს ახალ ხუთწლედში. მათ უნდა უზრუნველყონ აზოტოვანი სასუქების ქარხნისა და სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მეორე რიგების მშენებლობის დამთავრება.

ორ საათს გასტანა რუსთავის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციამ. მან აჩვენა, რომ ქართველი მეტალურგები, ქიმიკოსები, მშენებლები, მეცემენტეები და სხვ. ერთსულოვნად არიან დარაზმულნი მშობლიური კომუნისტური პარტიის ირგვლივ და მზად არიან განახორციელონ ის დიადი ამოცანები, რაც საბჭოთა ხალხს სკპ XXIII ყრილობამ დაუსახა.

იმავე დღეს ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში, აგრეთვე საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში მოეწყო მშრომელთა მასობრივი სეირნობანი.











ზეიმით და სიხარულით აღნიშნეს ჩვენს რესპუბლიკაში მშრომელთა საერთაშორისო დღე — პირველი მაისი.

სურათებზე: მარცხნივ — სამხედრო პარადი თბილისში. მოდის მძლავრი სამხედრო ტექნიკა. ზემოდან ქვემოთ — რუსთავის მეტალურგები დემონსტრაციაზე; ზეიმობენ ცხინვალის პიონერები; ბათუმის მშრომელები საპირველმაისო დღესასწაულზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა, ვლ. გინზბურგისა („კომუნისტი“), რ. გაბრიჭიძისა, ვ. უბოჟენკოსი (საქტესის ფოტოქრონიკა), ვ. გრიშჩენკოსი.



ზეიმით შეხვდნენ პირველი მაისის დღესასწაულს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. განსაკუთრებით ლამაზი სანახავი იყო სადღესასწაულოდ მორთული თბილისი. ყველგან — ქუჩებსა და მოედნებზე, პარკებსა და ბაღებში მხიარული განწყობილება სუფევდა. საღამოს, როცა დაბინდდა, დედაქალაქში აელვარდა სალუტის ნაირფერი ფეიერვერკი, რომლის ხილვითაც არაერთხელ დამტკბარან თბილისელები.

• • •

სურათზე: საპირველმაისო სალუტი თბილისში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ვლ. გინზბურგისა.

# ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

## მოლოცვა ოკეანიდან

თბილისი. „კომუნისტის" რედაქციას

□

თევზსაჭერმა ტრაულერ „თბილისის" ეკიპაჟი აფრიკის ნაპირებიდან გულითადად გილოცავთ პირველი მაისის დღესასწაულს და გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ყველა მკითხველს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესთან დაკავშირებით გადასცეთ ჩვენი მოლოცვა და დიდ წარმატებათა სურვილები შრომაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ტრაულერ „თბილისის" ეკიპაჟი.

◆

## ლექტორის დღე

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მსხვილ საწარმოებში კარგა ხანია ტრადიციად იქცა ლექტორის დღე; საამქროებსა და განყოფილებებში ერთდროულად იკითხება ლექციები მშრომელთათვის საინტერესო თემებზე.

ამას წინათ, ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საამქროებში სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ლექციები წაიკითხეს დოცენტმა ი. ტაბალუამ, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა შ. ნოზაძემ და ლექტორმა ა. ციციაშვილმა.

◆

## ხუთი მილიონი ბოთლი „საირმე"

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). შარშანდელთან შედარებით ოცი დღით ადრე დაიწყო სეზონი საირმის მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანაში. ერთ თვეში აქ 663 ათასი ნახევარლიტრიანი ბოთლი მინერალური სამკურნალო წყალი ჩამოასხეს.

ქარხნის კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა მიმდინარე წლის სეზონში გეგმით გათვალისწინებული 4 მილიონ 100 ათასი ბოთლის ნაცვლად მშრომელებს მიაწოდოს 5 მილიონი ბოთლი „საირმე".

## სახალხო პოეტი —კოლმეურნე

### უკრაინელი კოლმეურნეები სტუმრად გიორგი ლეონიძესთან

◆

ამ ორი თვის წინათ საქართველოს სახალხო პოეტმა გიორგი ლეონიძემ უკრაინიდან მიიღო პატარა ბარათი, რომელსაც ხელს აწერდნენ სოფელ პოკროვსკოეს (დონეცკის ოლქი, არტიომოვსკის რაიონი) ტარას შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ასტრახანცევი, აგრეთვე პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მდივნები. უკრაინელ კოლმეურნეებს გადაეწყვიტათ ქართველი პოეტის თავიანთი არტელის საპატიო წევრად არჩევა და თანხმობას სთხოვდნენ მას. თანაც სწერდნენ: „...ჩვენი კოლმეურნეობა დიდი უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოს სახელს ატარებს. მისი პოეზია მარად უკვდავია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენ ბატკო ტარასის პირდაპირი მემკვიდრე და უახლოესი მეგობარი ხართ"...

ცხადია, თანხმობასთან ერთად გიორგი ლეონიძემ გულითადი მადლობა შეუთვალა უცნობ მეგობრებს. სულ მალე პოეტმა მიიღო კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება, რომლის თანახმად იგი არჩეული იყო კოლმეურნეობის საპატიო წევრად. „ძალიან გვინდა, რომ ჩვენი მეგობრობა — საქართველოს სახალხო პოეტისა და კოლმეურნეობის მეგობრობა მტკიცე და სასარგებლო იყოს", — სწერდნენ პოკროვსკოელი კოლმეურნეები გიორგი ლეონიძეს და თანაც ატყობინებდნენ — აპრილის ბოლოს გეწვევით და პირადად გინახულებთო.

და აი საპირველმაისოდ სოფელ პოკროვსკოეს ტ. შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია თოთხმეტი კაცის შემადგენლობით ამავე არტელის საპატიო წევრს, საქართველოს სახალხო პოეტს გიორგი ლეონიძეს ეწვია საქართველოში.

პოეტმა უკრაინელი კოლმეურნეები თავის მშობლიურ რაიონში — საგარეჯოში მიიწვია. ამავე დღეს გიორგი ლეონიძესთან სტუმრად იყვნენ კოლეგები — უკრაინელი მწერალი და ლიტერატორი დმიტრო კოსარიკი, ცნობილი ბალყარელი პოეტი კაისიმ ყულიევი და მოსკოველი პოეტი ვასილ ფიოდოროვი.

პოეტმა სტუმრები თავდაპირველად თავის მშობლიურ სოფელ პატარძეულში წაიყვანა. აქ მათ შეხვდნენ პატარძეულელი კოლმეურნეები და მოსწავლეები... პოკროვსკოელ კოლმეურნეებს სურთ შეიტყონ ყველაფერი, რაც მათი არტელის საპატიო წევრის სახელთან არის დაკავშირებული. ამიტომ ისინი პატარძეულის შემდეგ ინტერესით ეცნობიან სოფელ ნინოწმინდას — პოეტის [illegible] სიტყვები, ყვავილები...

საგარეჯოში უკრაინელი კოლმეურნენი გაეცნენ მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას. საქმიანი შეხვედრა-საუბარი გაიმართა მეურნეობის სამმართველოს შენობაში. პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანმა დ. კველიშვილმა სტუმრებს გააცნო მეურნეობის საქმიანობა, თავიანთი მიღწევები, მომავლის გეგმები. საპასუხო სიტყვით გამოვიდა დელეგაციის ხელმძღვანელი, პოკროვსკოელი მექანიზატორი ვ. ვასილიევი. უკრაინელი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე ესაუბრნენ სტუმრებს გიორგი ლეონიძე და მათი თანამემამულე, მწერალი დმიტრო კოსარიკი...

პოკროვსკოელმა კოლმეურნეებმა საქართველოს სახალხო პოეტს — არტელის საპატიო წევრს სამახსოვრო საჩუქრად ჩამოუტანეს ტარას შევჩენკოს სურათი და კოლმეურნეობის წევრთა სახელით თავიანთ სოფელში მიიწვიეს.

— გეწვევით, უსათუოდ გეწვევით, ჩემო ძვირფასო მეგობრებო! — ეუბნება მათ გიორგი ლეონიძე და საჩუქრად გადასცემს რჩეული ლექსების წიგნს (უკრაინულ ენაზე) და მოთხრობების კრებულს „ნატვრის ხეს" რუსულ ენაზე...

ასე ჩაეყარა საფუძველი პოკროვსკოელი და საგარეჯოელი კოლმეურნეების მეგობრობას, რომელიც მომავალში უფრო განმტკიცდება და გაფართოვდება.

ლ. კიკნაძე.

• • •



სურათზე: უკრაინელი კოლმეურნეები გ. ლეონიძესთან პატარძეულში.

ფოტო ს. კილაძისა.

## ს. პროკოფიევის მუსიკის ფესტივალი

გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის ს. ს. პროკოფიევის დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავად ამიერკავკასიის რესპუბლიკებში იწყობა კომპოზიტორის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფესტივალი.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით ფესტივალი საქართველოში მოეწყობა 11-დან 20 მაისამდე; სომხეთში — 11-დან 17 მაისამდე; აზერბაიჯანში — 19-დან 23 მაისამდე.

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრი, საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი გუნდი, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი, აზერბაიჯანის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი. ორკესტრებს უდირიჟორებენ ნ. რახლინი, ბ. ხაიკინი, გ. როჟდესტვენსკი, ზ. ხუროძე, ლ. კილაძე, ნ. გუსმანი.

სოლისტებად გამოვლენ მ. როსტროპოვიჩი, ლ. ზაკი, რ. კერერი, ე. ვირსალაძე, ეკო სატო (იაპონია), ს. პერტიკაროლი (იტალია), ს. შაპოშნიკოვი, ი. ბოგაჩიოვა, ლ. ბელობრაგინა და სხვა ცნობილი შემსრულებლები.

მოსკოვი.

## სამაისო დებიუტი

### თენგიზ ზვიკლიშვილი — მოსკოვის დიდი თეატრის სპექტაკლში

მოსკოვი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სცენაზე ჯუზეპე ვერდის ოპერა „აიდაში" მრავალი მომღერალი გამოსულა. სპექტაკლის მთავარი გმირების — აიდას, ამნერისის, რადამესის და ამონასროს პარტიების შესრულება ყოველთვის იყო მომღერლის ოსტატობის დიდი გამოცდა და მისი შემდგომი შესაძლებელი წარმატებების წინასწარი საზომი. ეს კარგად ესმის ყოველ მსახიობს, და ამიტომაც მთელი შესაძლებლობით ემზადებიან მსმენელთა სამსჯავროზე გასასვლელად...

სულ რამდენიმე თვეა, რაც მოსკოვის დიდი თეატრის დასში მიიღეს თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თენგიზ ზვიკლიშვილი, რომლის სასიამოვნო ტემბრის ბარიტონს თბილისელები კარგად იცნობენ. ახალგაზრდა მომღერალი მთელი სერიოზულობით და მონდომებით შეუდგა მუშაობას.... ამონასროს პარტიის მოსამზადებლად. უბრალო საქმე ხომ არ არის — დებიუტი მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე და ისიც ვერდის „აიდაში", თანაც ერთ-ერთ მთავარ პარტიაში.

ახალგაზრდულმა მონდომებამ, მუყაითმა შრომამ თენგიზ ზვიკლიშვილს სასიამოვნო გამარჯვება მოუტანა ამ საპასუხისმგებლო დებიუტში, რომელიც 30 აპრილს გაიმართა.

ვისთან ერთად მღეროდა თენგიზ ზვიკლიშვილი ამ დღეს? სპექტაკლ „აიდაში" (დამდგმელი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. პოკროვსკი) რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა თ. მილაშკინამ იმღერა აიდას, რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა ლ. ნიკიტინამ ამნერისის, ხოლო სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზ. ანჯაფარიძემ რადამესის პარტიები. სპექტაკლს დირიჟორობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოდისეი დიმიტრიადი.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მაყურებლები და კოლეგები გულთბილად მიესალმნენ ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერლის — თენგიზ ზვიკლიშვილის დებიუტს. რასაკვირველია, მის წარმატებაში დიდი როლი შეასრულეს საუკეთესო პარტნიორებმა და გამოცდილმა დირიჟორმა.

თენგიზ ზვიკლიშვილის დებიუტის გამო გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტს თავისი აზრი გაუზიარა ცნობილმა თეატრალურმა კრიტიკოსმა მიხეილ დოლგოპოლოვმა.

რადამესი — ზურაბ ანჯაფარიძე, — ამბობს იგი, — როგორც ყოველთვის, მღეროდა აღმაფრენით. მან კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ დღეს მისი სახით ნიჭიერი, წამყვანი ტენორი გვყავს. მაგრამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელია თენგიზ ზვიკლიშვილის წარმატება. დებიუტს უცილობლად მოსდევს ღელვა, რომელიც დებიუტანტზე მოქმედებს. და, რასაკვირველია, საშუალებას არ აძლევს სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი. თითქოს აქაც იყო ღელვა, მაგრამ მხოლოდ პირველ მოქმედებაში, სამაგიეროდ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ მესამე მოქმედებაში, სცენაში ნილოსის სანაპიროზე მან სრულყოფილი ოსტატობა გამოავლინა. მაყურებელმა შესანიშნავად შეაფასა მისი სიმღერა — ოვაციები ამის მტკიცე საბუთია.

## დღეს მთვარე დაბნელდება

4 მაისს ღამით მოხდება მთვარის მკრთალჩრდილოვანი დაბნელება. ღამის 11 საათსა და 07 წუთზე თბილისის დროით სავსე მთვარე შეეხება დედამიწის მკრთალ ჩრდილს და დაიწყებს მასში შესვლას. 1 საათსა და 12 წუთზე დაბნელება უდიდეს ფაზას მიაღწევს. ამ დროისათვის დედამიწის მკრთალი ჩრდილით დაიფარება მთვარის ზედაპირის ცხრა მეათედზე მეტი.

შემდეგ მთვარე დაიწყებს მკრთალჩრდილიდან გამოსვლას. 5 მაისს 3 საათსა და 17 წუთზე დაბნელება დამთავრდება.

მკრთალჩრდილოვანი დაბნელების დროს მთვარის ზედაპირის სიკაშკაშე ისე უმნიშვნელოდ შემცირდება, რომ შეუიარაღებელი თვალით ძნელი იქნება ამ მოვლენის დანახვა. ამიტომ უმჯობესია დაკვირვება ვაწარმოოთ დურბინდით.

ვ. პ. ჯაფიაშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობაში.

## „საბჭოთა ხელოვნება" № 5

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურულ-მხატვრული და თეორიული ჟურნალის — „საბჭოთა ხელოვნების" მეხუთე ნომერი.

„პარტიის მიზანს — დიადი გზა", — ასე ჰქონდება მის მოწინავე სარედაქციო წერილს. ჟურნალის ამ ნომერში მკითხველები გაეცნობიან რ. საყვარელიძის, გ. ქლენტის, ვ. გოგოლაშვილის, გ. ცინცაძისა და ვ. კუხიანიძის, შ. სალუქვაძის, რ. ლეჟავაშვილის, თ. ეგაძის, რ. მეტრეველის, კ. პიპინაშვილის, გ. ალიბეგაშვილის, კ. გოგოძის, ა. კალანდარიშვილის, ო. სეფიაშვილის და სხვათა წერილებსა და სტატიებს, ინფორმაციული ხასიათის მასალებს, აგრეთვე მრავალ ფოტოილუსტრაციას და ქართველ მხატვართა ნამუშევრების ფოტორეპროდუქციებს.

## კომუნისტი სპორტი

### ლანინაურდა რ. ჯინჯიხაშვილი

ოსტატების ა. ბუსლაევისა და რ. ჯინჯიხაშვილის საჭადრაკო მატჩის მეხუთე პარტია 2 მაისს გადაიდო რ. ჯინჯიხაშვილისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიის დამთავრება. გაიმარჯვა რ. ჯინჯიხაშვილმა და ანგარიში გახდა 3:2 მის სასარგებლოდ. საქართველოს ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად რ. ჯინჯიხაშვილს უკანასკნელი მეექვსე პარტიის ყაიმით დამთავრებაც კი ჰყოფნის.

◆

### გომელსა და ვილნიუსში

გომელში ადგილობრივი „სპარტაკის" წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივი". მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — 0:0. ვილნიუსში ბათუმის „დინამომ" გაიმარჯვა „ჟალგირისის" ფეხბურთელებთან მატჩში 1:0.

## ფრე აუტსაიდერთან

სკა (ოდესა)—„დინამო" (თბილისი). 0:0. ოდესა. 2 მაისი. „ჩერნომორეცის" სტადიონი. მსაჯი ი. პონომარიოვი (ციმინიოვი).

„დინამო" — ურუშაძე, ბ. ხიჯინავა, ჰელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, ხარითიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, ასათიანი, მაისურაძე; სკა — კაკოზოვი, ზახაროვი, მანდენჩიუკი, კოლბასიუკი, გრებენიკი, პანოვი, პროსიუკოვი, სპირიდონოვი, პრიგორკო, ხატაევი, ვარგა (ნემიროვსკი).

თბილისის დინამოელებს აუტსაიდერთან ჰქონდათ მატჩი. სტარტზე ოდესელებმა სამი შეხვედრა წააგეს ზედიზედ და სატურნირო ცხრილის ბოლოში მოექცნენ. უნდა გვევარაუდა, რომ თბილისელები წარმატებას მიაღწევდნენ, მაგრამ „დინამომ" ქულა დაკარგა, მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — 0:0.

მოკლედ მატჩის მსვლელობაზე. მასპინძლები მთელ ყურადღებას საკუთარი კარის დაცვას უთმობდნენ, წინ მხოლოდ სამი ფორვარდი მოქმედებდა. დასაწყისში ტემპი მაღალი არ იყო. ინიციატივას თბილისელები ფლობდნენ.

ჩვენი გარემარბები ხშირად იცვლიდნენ ადგილებს და ამით ერთგვარი არევდარევა შეჰქონდათ მეტოქის გაძლიერებულ დაცვაში. ტაიმის მიწურულში დაიკარგა ორი რეალური შესაძლებლობა. ოდესელთა მეკარემ შეცდომა დაუშვა, დათუნაშვილის დარტყმის შემდეგ თითქოს გოლი გარდუვალი იყო, მაგრამ პანოვმა ღია კარიდან გამოიტანა ბურთი. ამის შემდეგ კი ასათიანს შეეძლო გაეხსნა ანგარიში, მაგრამ ვერც მან გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი.

მეორე ნახევრის დასაწყისში ურუშაძემ ფეხებიდან გაცალა ბურთი ვარგას, შემდეგ კი პრიგორკომ 3-4 მეტრიდან დაკარგა შესაძლებლობა. დარჩენილ წუთებში დინამოელები არ მოშორებიან მეტოქის კარს. თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე კარაკოზოვმა იხსნა თავისი გუნდი, მოიგერია 5-6 მეტრიდან ასათიანის მიერ დარტყმული ბურთი. ასეთი მომენტები ცოტა როდი იყო, ოდესელთა კარი კი აუღებელი დარჩა.

## დამსახურებული გამარჯვება

კიდევ ერთი მატჩი გამართეს ქუთაისის ტორპედოელებმა საკუთარ მოედანზე 2 მაისს დონეცკის „შახტიორის" ფეხბურთელებთან. მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა სახარბიელო არ იყო — ოთხი თამაშიდან ორ-ორი ქულა და სატურნირო ცხრილში თანმიმდევრულად მეთოთხმეტე, მეთექვსმეტე ადგილები.

შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლის სიმძაფრე სწორედ ამან განაპირობა, თუმცა პირველ ტაიმში მოწინააღმდეგეებს ბურთი არ გაუტანიათ, ტერიტორიულ უპირატესობას კი ქუთაისელები ინარჩუნებდნენ.

მეორე ნახევარი უხვგოლიანი აღმოჩნდა. მასპინძელთა განუწყვეტელ შეტევას წარმატება მოჰყვა. ეს მოხდა 54-ე წუთზე, როცა ანგარიში ხაჭალიამ გახსნა. იერიშს იერიში მოსდევდა. 75-ე წუთზე ნოდია პირისპირ აღმოჩნდა „შახტიორის" მეკარესთან და სტუმართა კარში მეორე ბურთი გაგზავნა. ნოდია მალე ერქომაიშვილმა შეცვალა. სწორედ ამ უკანასკნელმა 88-ე წუთზე დაახლოებით 22 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გაზარდა ანგარიში. ერთი წუთის შემდეგ დონეცკელებმა თავი დააღწიეს მშრალ ანგარიშს. გოლის ავტორი იყო სტანკიავიჩუსი.

გაიმარჯვეს ტორპედოელებმა 3:1. ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრის შედეგია 2:1 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

„ტორპედოს" შემადგენლობაში იყვნენ: კვასხვაძე (ანდღულაძე), ლოსაბერიძე, ებრალიძე, სიამაშვილი, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ასიტაშვილი, ვეკუა, ჩხარტიშვილი, ხაჭალია, ნოდია (ერქომაიშვილი).

## სპორტული ქრონიკა

△ სანტიაგოში დამთავრდა ჩილის კალათბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი. უკანასკნელი მატჩი ჩვენმა ნაკრებმა წააგო ამერიკელებთან 78:75 და მესამე ადგილზე გამოვიდა. პირველობა იუგოსლავიელებს ხვდათ. ამერიკის გუნდი მეორე იყო.

△ ათი კვირა დარჩა ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ფინალურ ტურნირამდე. საბჭოთა კავშირის ნაკრების ერთ-ერთ მოწინააღმდეგეს — ჩილის ნაკრებს მატჩი ჰქონდა მექსიკაში ამ ქვეყნის ჩემპიონთან და დამარცხდა 0:1. დღეს „უემბლის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისისა და იუგოსლავიის გუნდები. საერთაშორისო მატჩს გამართავენ აგრეთვე გფრ-სა და ირლანდიის ნაკრები გუნდები.

## „ბ" კლასში

შედგა რსფსრ „ბ" კლასის მეოთხე ზონის გუნდების მატჩები. აი მათი შედეგები: „დინამო" (სოხუმი) — „დინამო" (მახაჩყალა) 2:0, „კოლხიდა" (ფოთი) — „უროჟაი" (დერბენტი) 4:0, „არაქსი" (ერევანი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:1, „ლორი" (კიროვაკანი) — ტყიბულის „მეშახტის" ფეხბურთელთა გუნდი 0:0.

## საკუთარ მახეში...



ცხრა პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 8:1 ყაიმების სასარგებლოდ. ეს იმით აიხსნება, რომ როგორც ჩემპიონი, ისე პრეტენდენტი ათასში ერთხელ აგებენ. ამიტომ ბევრი ელოდა, რომ მეტოქეები მაისის ზეიმის დროს არ გამოიჩენდნენ აგრესიულ ზრახვებს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

დასაწყისში თითქოს ისე ჩანდა, რომ პეტროსიანი არ იქნებოდა ყაიმის წინააღმდეგი. მით უმეტეს, რომ ლუჟნიკში მისი საყვარელი გუნდი „სპარტაკი" თამაშობდა. სპასკი არც კი ფიქრობდა ფეხბურთის საყურებლად გაეშვა მეტოქე. მან პირველად აირჩია ძველინდური დაცვა და დაფაზე ენით აუწერელი შეხლა-შემოხლა დაიწყო. ბრძოლაში მხიარულება პირველად სპასკიმ შეიტანა. მაგრამ პეტროსიანმა, რომელიც ფეხბურთს მაინც ვეღარ მიუსწრებდა, მიიღო გამოწვევა. ხუმრობას რომ თავი დავანებოთ, უნდა ვთქვათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა ეს პარტია თავისი შესაფერი სტილით ჩაატარა. გროსმაისტერები პრესცენტრში დიდხანს კამათობდნენ, თუ სად შეცდა პრეტენდენტი. შესაძლოა, ძალზე გაბედული იყო მისი მე-19 სვლა. ყოველ შემთხვევაში, სპასკი თვით ჩავარდა იმ მახეში, რომელსაც მეტოქეს უგებდა. მსოფლიოს ჩემპიონმა ორჯერ შესწირა ხარისხი და უძლიერესი იერიში მიიღო.

25-ე სვლისათვის პრეტენდენტს ცუდი პოზიცია და თანაც ცაიტნოტი ჰქონდა. 30-ე სვლაზე ლაზიერის დროებითი, მაგრამ ლამაზი შეწირვით მსოფლიოს ჩემპიონმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ანგარიში გახდა 6:4 პეტროსიანის სასარგებლოდ.

მატჩის დასაწყისამდე მიცემულ ინტერვიუში პეტროსიანმა განაცხადა, რომ ელის ყველა 24 პარტიის გათამაშებას.

მაგრამ თუ ასეთი ძალით გააგრძელა თამაში და სპასკიმ ასე ინერციულა, მაშინ, ეტყობა, მატჩის ბედი მაისშივე გადაწყდება. ყოველ შემთხვევაში სპასკი თამაშს ძლიერი დეპრესიის ქვეშ აზის აქ, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიური მომენტიც მოქმედებს. მეტოქენი უკვე 14 წელია ერთმანეთს ხვდებიან და სპასკი ვერც ერთხელ ვერ მოახერხა პეტროსიანის დამარცხება.

აი როგორ წარიმართა ეს პარტია:

1. მf3 მf6 2. g3 g6 3. c4 კg7 4. [illegible] 0—0 5. 0—0 მc6 6. მc3 d6 7. d4 [illegible] 8. d5 მa5 9. მd2 c5 10. ლc2 e5 11. [illegible] მg4 12. e4 f5 13. ef gf 14. მd1 [illegible] 15. f3 e4 16. კb2 ef 17. კ:f3 კ:b2 [illegible] ლ:b2 მe5 19. კe2 f4 20. gf კh3 21. [illegible] კ:f1 22. ე:f1 მg6 23. კg4 მ:f4 24. [illegible] ე:f4 25. კe6+ ეf7 26. მe4 ლh4 27. მ:d6 ლg5+ 28. მეh1 ეa7 29. კ:f7+ ე:f7 30. ლh8+ და შავებმა დანებდნენ.

დღეს შედგება მეთერთმეტე პარტია. თეთრებით ითამაშებს ბ. სპასკი.

სალო ფლორი,

გროსმაისტერი.

## მატჩები და შედეგები

2 და 3 მაისი საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის დღეები იყო „ა" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივებისათვის.

ამ ტურის სენსაციას წარმოადგენდა დონის როსტოვის მატჩის შედეგი. ადგილობრივი სკა დამარცხდა კიევის „დინამოსთან" 1:6. პირველ ტაიმში ხმელნიცკიმ და ბიბამ თითო ბურთი გაიტანეს, შემდეგ კი პარკუიანმა, ბიბამ, ხმელნიცკიმ და ბიშოვეცმა 4 გოლით გაზარდეს ანგარიში. არმიელთა ერთადერთი გოლის ავტორი იყო ბუროვი.

სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „ტორპედო" კუიბიშევს ეწვია და „კრილია სოვეტოვთან" ჰქონდა პაექრობა. ანგარიში შჩერბაკოვმა გახსნა, შემდეგ კი წონასწორობა მასპინძლებმა აღადგინეს. ამას მოჰყვა ივანოვის 2 გოლი. ჩემპიონმა გაიმარჯვა 3:1.

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელმა ერევნის „არარატმა" პირველი დამარცხება განიცადა. იგი თამაშობდა ლენინგრადში „ზენიტის" წინააღმდეგ. აქ მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 78-ე წუთზე ხოლოვიოვმა გაიტანა.

მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდა ჩვენი ქვეყნის ორი პოპულარული გუნდი — დედაქალაქის „სპარტაკი" და „დინამო". 71-ე წუთზე ამბარცუმიანის მიერ გატანილმა ბურთმა სპარტაკელებს გამარჯვება (1:0) და ორი ქულა მოუტანა.

ალმა-ატაში მატჩი ჰქონდათ ადგილობრივ „კაირატსა" და ტაშკენტის „პახტაკორს". მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე 0:0.

მინსკის დინამოელთა სტუმარი ოდესის „ჩერნომორეცი" იყო. მასპინძლებმა ეს მატჩი აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

გუშინ მოსკოვში თამაშობდნენ ცსკა-სა და ბაქოს „ნეფტიანიკის" გუნდები. მატჩის შედეგია ფრე 1:1.

## გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 4 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კ.) | 5 | 4 | 1 | 0 | 15-1 | 9 |
| „სპარტაკი" (მ.) | 5 | 4 | 1 | 0 | 6-1 | 9 |
| „ტორპედო" (მ.) | 5 | 3 | 2 | 0 | 10-4 | 8 |
| „ნეფტიანიკი" (ბ.) | 5 | 2 | 3 | 0 | 4-1 | 7 |
| „არარატი" (ერ.) | 5 | 2 | 2 | 1 | 7-3 | 6 |
| „დინამო" (თბ.) | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 6 |
| „კაირატი" (ალმ.) | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 6 |
| „პახტაკორი" (ტ.) | 5 | 1 | 4 | 0 | 3-2 | 6 |
| სკა (როსტ.) | 4 | 2 | 1 | 1 | 5-6 | 5 |
| „ზენიტი" (ლ.) | 5 | 2 | 1 | 2 | 3-6 | 5 |
| „ტორპედო" (ქ.) | 5 | 2 | 0 | 3 | 8-9 | 4 |
| ცსკა | 5 | 0 | 4 | 1 | 3-5 | 4 |
| „დინამო" (მ.) | 5 | 2 | 0 | 3 | 2-4 | 4 |
| „ჩერნომორეცი" (ოდ.) | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 3 |
| „დინამო" (მნ.) | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 3 |
| „კრ. სოვ." (კუიბ.) | 4 | 0 | 2 | 2 | 1-7 | 2 |
| „შახტიორი" (დ.) | 5 | 1 | 0 | 4 | 2-8 | 2 |
| სკა (ოდ.) | 4 | 0 | 1 | 3 | 0-6 | 1 |
| „ლოკომოტივი" (მ.) | 4 | 0 | 0 | 4 | 1-6 | 0 |

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

## ჩა ვცასოთ, ჩა მოვისმენოთ

### ტელევიზია

4 მაისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი, 19.15 — საესტრადო კონცერტი — „თბილისური რიტმები" — გადაცემა თბილისიდან ინტერვიზიისათვის, 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „მოწინავე გამოცდილების სკოლა", 20.20 — კინონარკვევი, 20.30 — ფრაგმენტები საბალეტო სპექტაკლებიდან, 21.00 — მხატვრული ფილმი „დაბრუნდი, ბეატა?", 22.35 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე).

მეცხრე არხზე — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა — დილის 12 საათიდან, საღამოს 17 ს. 45 წ.

5 მაისი

11.00 — დილით უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 17.55 — საღამოს გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — „მეგობრობის ფესტივალი", 19.10 — „ბეჭდვითი სიტყვის დღე", 19.25 — კონცერტი პრესის მუშაკთა თხოვნით, 20.05 — „მეგობრობის მოამბე", 20.50 — მხატვრული ფილმი „მომღერლის საჩივრის წიგნი", 22.15 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.35 — გადაცემათა პროგრამა 6 მაისისათვის, 22.40 — გადაცემა ციკლიდან „ოპერის გაცნობა" იტალიური ოპერა-ბუფი ჯუზეპე პერგოლეზეს „მოსამსახურე-ქალბატონი" (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხზე — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა — 17.45 წუთზე.

### კინო

4 მაისი

რუსთაველი, ამირანი — აზერბაიჯანული ფილმების კვირეული, ისანი, — არშინ მალ-ალანი, ოქტომბერი, საქართველო (წითელი დარბაზი), კოლხიდა, გაზაფხული, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), კიროვის სახელობის პარკი, სპარტაკი — ჯინჯერ კოფის იღბალი, საქართველო (მწვანე დარბაზი) — უტეხი ათასეული, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — მაისის თვე, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — ოცდაცამეტი, ბათუმი — ვეტერი, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა კულტურის სახლი — იაპონია ომებში. ნაძალადევი — ჟურნალისტი რომიდან, კოსმოსი, ი. შაგგავაძის სახელობის კულტურის სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — დილაადრიან, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — რეპორტიორის შვებულება, ეკრანი — აიდა, თბილისი — ხაჩიფაშონ ახაკი. 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — ახლა როგორღა მოვმართოთ?, კოლმეურნე, გორკის სახელობის კულტურის სახლი — სიმღერა შეუვალი იყო... თანამგზავრი — შუაღამის ამბორი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — იქ, სადაც ედელვაისი ჰყვავის.

### თეატრები

4 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლუჩია დი ლამერმური (მე-10 აბონ. მე-6 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის აკადემიური — მეფე ლირი, მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური — ოქროს საწმისი, გრიბოედოვის სახელობის — კეისარი და კლეოპატრა (მე-4 აბონ. მე-7 წარმოდგენა), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ბორის ძნელაძე (№ 53 აბონ. დილის 10 ს.). ფილარმონიის საზაფხულო — საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრ „რეროს" კონცერტი (საღამოს 8 ს. და 30 წ.).

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-98-08, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — 8-15-68, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-28-64, განცხადებების — 8-98-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04938 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.